


K 71.925
3



სერგი ეკატერინევა-2000
ეგვიპტის ფოტოები

სტენის ხელი

3 როგ. სერგი მაკალათიძე



აგენტის ხეობა

ისტორიულ-ეთნოგრაფიული
ნაჩვევანი

K 41. 925
3



სახელმწიფო
ნბიოლოგი

1957



I. ატენის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ატენის ან ტანას ხეობა¹ მდებარეობს კორის რაიონში. გორიდან იგი დაშორებულია სამიოდე კილომეტრით. ლამაზია ტანას ხეობა, რომლის ნაპირას მოიკლავნება ატენის ვიწრო გზა. აქ თავდება შიდა ქართლის ვაკე და იშვება მისი ზეგანი, სადაც ერთმანეთს ცვლიან კლდოვანი მწვერვალები, ალპიური ბორცვები და ქოჩორა გორაკები. მათი კალთა—უბეები კი ამწვანებულია ბალ-ვენახებით.

ტანასა და მის შენაკადებს სათავეები აქვთ ჯამჯამასა და საცხენისის ქედზე, საიდანაც იგი დიდი სისწრაფით მიექანება მტკვრისაკენ, რომელსაც ერთვის სოფ. ხილისთავთან². ამ ხეობის სიგრძე უდრის დააბლოებით 30 კილომეტრს. ტანას ხეობა მჭიდროდაა დასახლებული, დაწყებული სათავიდან სოფ. ლევიტანა³ — ხილისთავამდე.

ვა ხუმტი ბაგრატიონის აღწერით: „ტანა ვამოდის ჯამჯამს და საცხენისის მთას, დრის ხევამდე დის აღმოსავლით, მერმე დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამხრიდან. მტკვრის სამხრეთ-დასავლეთიდამ ერთვის ატენის-წყალს წედისის ხევი“-ო.⁴

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ატენის ხეობა მნიშვნელოვანი სტრატეგიული იდგილია. ტანას ხეობით შიდა ქართლიდან გზები გადის: მანგლის-თრიალეთისაკენ, მესხეთ-ჯავახეთში, აქედან ტაო-კლარჯეთით ძველად გზა გადიოდა ბიჭანტიის პროვინციებში (დღევანდელი თურქეთი).

¹ „ტანა“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „ტინი“, რაც ნიშნავს სალი კლდეს. ტანა-დან წარმოებულია ატენი.

² ხილისთავი ამ სოფელს ეწოდა იმის გამო, რომ აქ მცენად იყო გორში მისასასლელი ხიდი, რომლის ქვეტკირის ბურჯვები დღესაც დგანან მტკვარში.

³ სახელწოდება — ლევიტანა არის რუსული „Левая тана“-დან. აქ ტანას მარცხენა მხარეზე ხე-ტყის მწარმოებელს ხესემანს ჰქონია კანტორა და უწოდებით „ლევიტანა“.

⁴ ვა ხუმტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941 წ., გვ. 56—57.



ატენის მშვენიერი ბუნება შეზავებულია მაღალი მთის ჰავით
და ეს მხარეც მართებულად ითვლება სააგარაკო აღილად. ატენის მშვენიერი
ხეობა მდიდარია ტყით და საძოვრებით. მისი მაღალი მთები და-
ფარულია ფიჭვისა და ნაძვის ტყით, კალთები კი ბალ-ვენახებით.
აქაური ღვინო „ატენური“ განთქმულია ქართლში. ვახუ შტი ა-
აღწერით: „არს ესე ხეობა ვენახოვანი, ხილიანი“-ო. (გვ. 57). ატე-
ნურ ღვინოზე საციციანოს აღწერისას ვახუ შტი ამბობს: „ღვი-
ნო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა და უმეტეს ატენური
ყოველთა საქართველოს ღვინოთა“-ო (გვ. 59).

ატენის ხეობის ისტორიული წარსული დღემდე შეუსწავლე-
ლია. მისი მოკლე, ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა მოეპოვება
ვახუ შტი ას, რომელსაც თან დაურთავს ტანას ხეობის სოფლე-
ბის ნუსხაც¹. ამაზე ადრინდელი აღწერა ამ ხეობისა არ აჩვებობს.

ისტორიული ცნობებიც მეტად მცირეა, იგი შეუსწავლელია
არქეოლოგიურადაც, მიუხედავად იმისა, რომ აქ დაცულია საყუ-
რადლებო ისტორიული ძეგლები. გამონაკლისს წარმოადგენს მხო-
ლოდ ატენის სიონი, რომელიც შედარებით კარგად არის შესწავ-
ლილი და გამოკვლეული².

წარსულში ატენის ხეობა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით
დიდ როლს თამაშობდა პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობაში
სამხრეთ-დასავლეთით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, განსაკუთრე-
ბით ბიზანტიისთან, რომელთანაც შიდა ქართლს უმოკლესი გზა
ჰქონდა ტანას ხეობით, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც
სპარსელებმა გააუქმეს იმერიის (ქართლის) სამეფო 532 წელს და
ქართლის პოლიტიკურმა ცენტრმა მცხეთიდან უფლისციხეში გა-
დაინაცვლა. ამ დროიდან ქართლის ერისთავების რეზიდენციად
იქცა უფლისციხე³, რომელიც იყო მაგარი და მტრისათვის ძნელ-

¹ ვახუ შტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941 წ., გვ. 56, 57, 198.

² ივ. ჯავახი შვილი, К вопросу о времени построения Грузинского храма в Атиене (Христианский Восток, т. I, вып. III СПБ. 1912 г. გვ. 277; შ. ამირანა შვილი — Аტენის სიონი, ქართული ხელოვნების ისტორია. I თბ., 1944 წ., გვ. 177—181; გ. ჩუბინა შვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ნაწ. I, თბ., 1936 წ., გვ. 127—139).

³ უფლისციხე ძევლი ქაბული ქალაქია და მდებარეობს საც. უფლისცი-
ხის პირდაპირ მტკვრის გაღმა. ამ ძევლი ნაქალაქარის კლდეში გამოკვეთილია
სხვადასხვა დროის დარბაზები და სათავსოები. მათ შორის ყველაზე ადრინდელი
მიეკუთვნება II—III საუკ. ჩე. წ. არის შემდეგი დროის VI, VIII და XI საუკ.
სათავსოებიც (შ. ამირანა შვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I,
თბ., 1944 წ., გვ. 122).

მისადგომი ქვაბულ-ქალაქი. ამას გარდა, ტანას ვიწრო და კლდოვანი ხეობა წარმოადგენდა ბუნებრივ სიმაგრეს.

ამით აიხსნება ის, რომ VI—VII საუკუნეში აქ ჩინდება მციდობო მოსახლეობა და საქმიოდ ინტენსიური მშენებლობაც წარმოებდა. სხვათა შორის ამას მოწმობს ატენის დიდი სიონი, რომელიც აშენებულია VII საუკუნეში და ქართული ხუროთმოძღვრების საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს¹.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ ტაძრის აღწერას, იგი საფუძვლიანად არის შესწავლილი და მის შესახებ საქმაო ლიტერატურაც მოიპოვება. ამ შემთხვევაში ეს ძეგლი ჩვენთვის იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მისი ფართობის სივრცე, აშკარად მოწმობს ატენის მოსახლეობის სიმჭიდროესა და მლოცველთა მრავალრიცხოვნობას.

ამასთანავე ატენის ხეობის VII საუკუნის მოსახლეობა კულტურული განვითარების საქმიოდ მაღალ დონეზე მდგარა, რათა ატენის სიონის ლამაზ ხუროთმოძღვრებას, მხატვრულ გაფორმებას და შემქულობას დაეკმაყოფილებინა მისი ესთეთიკური გრძნობა.

უცკველია ატენის სიონი მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყო უფლისციხესთან და ორივე შუა ქართლის ცენტრს წარმოადგენდა: უფლისციხე—პოლიტიკურს, ატენის სიონი კი—რელიგიურ-კულტურულს.

ატენის ხეობამ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანების პერიოდში (IX—X საუკ.) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ატენის ხეობით ქართლის ერისთავები და დიდებული აზნაურები ითანა მარჯვის ინიციატივით თხოვდნენ ტაოს დიდ ერისთავს დავით კუროპალატს გამოელაშექრა უფლისციხეზე, აელო იგი და ქართლის მეფედ დაესვა მისი შვილობილი ბაგრატ გურგენისძე. დავითმა ეს წინადადება მიიღო და 975 წელს ატენის ხეობით გამოილაშექრა უფლისციხეზე, აიღო იგი და ქართლის მეფედ დასვა ბაგრატ III².

ბაგრამ ბაგრატის გამეფებასა და ამით საქართველოში ერთ-მეფობის დამყარებას არ თანაუგრძნობდა მანგლის—თრიალეთის ძლიერი ერისთავი რატი, რომლის მფლობელობაში შედიოდა ისე-

¹ გ. ჩუბინაშვილი, ქართ. ხელოვ. ისტორია, გვ. 127; შ. ამირანაშვილი, ხელოვნების ისტორია, გვ. 177.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 415.

თა პოლიტიკურ-ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მაგისტრალი, რესპუბლიკური ციფრისა და თრიალურის მხარე.

ამ გზით ბაგრატ III უკავშირდებოდა თავისი აღმზრდელის დავით კურაპალატის სამთავროს, ტაოს, საიდანაც იგი იღებდა საქირო დახმარებას თავისი მეფეური უფლებების განსამტკიცებლად. ამის გამო საქირო შეიქნა ატენის ერისთავის რატის დამორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მასი ატენიდან გაძევება და საერისთაოს ჩამორთმევა. რატი ურჩიოდა და დათმობაზე არ მიღიოდა, მაგრამ ვერ ბედავდა მეფესთან შებრძოლებას. მან განიხრახა საქმის მოვება ბაგრატსა და დავითს შორის შურის ჩამოგდებით. ბაგრატმა ეს ვერავი განხრახეა რატისა დროშე გაიგო და დავით კურაპალატის ნებართვით გაილაშქრა მასზე (989 წ.), დაამარცხა რატი და დაიმორჩილა¹. ამაზე ქართლის ცხოვრების მემატიანე მოვეითხრობს: „ურჩმა ყმამ მეფეს ციხე კლდეკარისანი მისცა და თითონ დაჯდა მამულსა თვისისა არგვეთს“-ო². მაგრამ რატის მემკვიდრეები ვერ ურიგდებოდნენ ატენის დაკარგვას, ისინი ეძებდნენ მოხერხებულ დროს, რომ ეს ხეობა ისევ ჩაეგდოთ ხელში და ამის გამო მუდამ მზად იყენენ განდგომისათვის.

ატენის ტაძრის კედლის 1060 წლის წარწერიდან ირკვევა, რომ ბაგრატ IV-ის ატენის ხეობაში დიდი მშენებლობა ჩაუტარებია და თვით ატენი ციხე-ქალაქად გადაუქცევია.

ბაგრატის ბრძანებით ქალაქის მშენებლობა უწარმოებია ატენის ციხისთავს გორგანელ (გრგნელ) თარხონის ძესა და მირიან ერისთავს. ამის შესახებ თვით გორგანელი ციხისთავი მოვეითხრობს: „ქ. სახელითა ლეთისაგთა, მე გორგანელმან, მირიანის ყმამან, თარხონის ძისამან, ატენის ციხის თავმან, ავაგენ სახლნი და ქულბაგი მას ქამსა ლდეს, ადიდენ ლმერთმან, ძლიერმან მეფეთ მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა, სეფეს ზუარსა შიდა ქალაქისა შენებად-ო³.

აქედან ირკვევა, რომ ამ დროს ატენის ციხე, რომელიც დღემდე დაულია, საქმიოდ დიდი და მაგარი ციხე ყოფილა და მას თავისი ციხისთავი ჰყოლია გორგანელი თარხონისძე, რომელსაც ბაგრატის ბრძანებითა და მირიანის ზედამხედველობით ჩაუტარებია ატენის ქალაქის მშენებლობა, რასაც იგი ასე მოვეითხრობს: „ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი, სასახლენი ადგილი და

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 415;

² ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოცემა, გვ. 209.

³ „Христианский Восток“, ტ. I, ნაკ. III, გვ. 290.

საქოლბაგე"-ო. სავაჭროების აგება მოწმობს, რომ ატენს ამ  რომელი X—XI საუკ. გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონია მეტად მეტ ქვეყნებთან.

ვერეს მონასტრის წარწერიდან ჩანს, რომ მირიან ერისთავისა და გორგანელ ციხისთავის ასეთივე მშენებლობა ჩაუტარებით ვერეს ხეობაშიც, სადაც დღესაც დაცულია ვერეს მაგარი ციხე და ლოთის-მშობლის საყურადღებო ტაძარი.

როგორც აღნიშნეთ, ატენის-დავარგვას ვერ ურიგდებოდნენ კლდეგარის ერისთავის რატის ჩამომავალი და ბაგრატ IV-ის დროს ბრძოლა განაახლა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ, რომელიც დამარცხდა, ის საქართველოდანაც გააძევეს. მხოლოდ დავით ალ-აშენებელმა შესძლო მათი საბოლოო დამორჩილება. ამის შესახებ მემატიანე ამბობს: „მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისა, კაცი ორგული და ესრეთ დასრულდა სახლი ბალვიგაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სვა უკანასკნელ თხლე რისხეისა. არღარავინ დარჩა საყოფელთა მათთა მკეიდრი. რამეთუ ალიხენა ურჯულოვება მამათა მათთა წინაშე უფლისა და მამული მათი ალილო მეფემან"-ო (ქართ. ცხოვრება, გვ. 241).

ამგვარად, კლდეგარის საერისთაო, რომელშიც შედიოდა ატენის ხეობა, მტკიცეთ ეპიროთ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს და აქედან მათ ჰქონდათ პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა სამხრეთ საქართველოს პროვინციებთან და ბიზანტიის სამეფოსთან.

ატენის ხეობა სამუალო საუკუნეებში მჭიდროდ რომ ყოფილი დასახლებული, ამას მოწმობს, სხვათა შორის, აქ დაცული ისტორიული ძეგლები: ციხე-კოშკები და ეკლესია-მონასტრები. ამ პატარა და ვიწრო ხეობაში, რომლის სიგრძე 30 კილომეტრს არ აღემატება, არის 50-მდე ძეგლი ეკლესია. მრავალი მათგანი დანგრეულია 1920 წლის გორის მიწისძერისაგან, მაგრამ მათი კედლები ჯერ კიდევ მაგრად დგანან.

რასაკვირველია, აქაური ეკლესია-მონასტრები არ იქნებოდნენ უმრეველოდ, თითოეულ სოფელს ექნებოდა ერთი, ზოგს კი ორი და სამი ეკლესიაც. მათში არის დიდი და მცირე ეკლესია, მათი მიხედვით შეიძლება ვივარაულოთ და დავადგინოთ დიდი და პატარა სოფელების არსებობა.

მოზრდილი და ცენტრალური სოფლები უნდა ყოფილიყო ატენში. ვერეში, ზემობოშურში, ტუსრებში და წეროში, სადაც დღემდე დაცულია დიდი მოცულობისა და საყურადღებო ნაგებობის ძეველი ტაძრები.



ასეთი მჭიდრო მოსახლეობა არ შეეძლო გამოეკვება ატენის ვიწრო ხეობას, მაგრამ მოსახლეობის კეთილდღეობას ხელს უწევებოთ ყობდა უმცველად ის სავაჭრო გზა, რომელიც ამ ხეობაზე გადიოდა; მოსახლეობის ეკონომიკური წარმატების მაჩვენებელია აქ დაცული პირველხარისხოვანი ნაგებობანი, როგორიც არის, მაგალითად, ატენის დიდი სიონი, ვერესა, წედისისა და ატენის ციხე.

ამ ხეობას მტერიც ეტანებოდა და იგი გამაგრებული იყო ციხე-კოშკებით. მათ შორის თავიანთი ნაგებობითა და სტრატეგიული მდებარეობით საყურადღებოა: ატენისა, ვერესა და წედის ციხეები.

ამ ციხეებმა თავდაცვის საქმეში დიდი როლი ითამაშეს, განსაკუთრებით მე-16—18 საუკუნეებში, როდესაც თურქეთი და ირანი საქართველოს ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს მეტოქეობას უწევდნენ. ამავე სახელმწიფოების წაქეზებით და დახმარებით აბრაგები ლეკოთაგან ქართლში აწარმოებდნენ გამანადგურებელ თარეზებს, აოხრებდნენ სოფლებს, იტაცებდნენ ტუვეებს, სარჩხსა და საქონელს. აბრაგ-ლეკების¹ გამანადგურებელმა თარეზებმა მწვავე ხასიათი მიიღო განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, როდესაც ახალციხის ფაშის დახმარებითა და ხელისშეწყობით ლეკთა ბრძოები ტანას ხეობით შეუ ქართლში გადმოდიოდნენ და მოსახლეობას აწიოკებდნენ. ატენის ხეობა ვერ უძლებდა მოზღვავებულ ლეკთა აბრაგების თარეზებს, მოსახლეობა გარბოდა და იხიზნებოდა უშიშარ ადგილებში. ამას მოჰყვა აქაური სოფლების გაპარტახება და დაცალიერება. XIX საუკუნის დამდეგს ატენის ხეობაში მოსახლეობა უკეთ არ ყოფილა და ეს უკაცრიელი ადგილი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გენერალ ერმოლოვს გადაუცია გენერალ-მაიორ თავად გიორგი ერისთავისათვის.

ამას მოწმობს ერთოლოვის ოფიციალური მიმოწერა რუსეთის ფინანსთა მინისტრთან. თავისი 1817 წლის 8 მარტის მოხსენებით ბარათში ერმოლოვი წერს: „გრენადერის სარეზერვო ბრიგადის სარდალმა გენერალ-მაიორმა თავადმა ერისთავმა მიმმართა თხოვნით, რომ მას გადავსცე სამუდამო სამეცვიდრეო მფლობელობაში ატენის ხეობა, რომელიც იმყოფება გორის მაზრაში, იმ პირობით, რომ იგი ამ უკაცრიელ ადგილებზე დაასახლებს 50 კომლ თავის საკუთარ გლეხებს და მათგან იყოლიებს მუდმივ ყარაულებს მო-

¹ ქართულად დაღისტანს ძველიდანვე „ლეკეთი“ ერქვა, ამიტომ იქიდან რაზმებად საქართველოში შემოსულ აბრაგებსაც უველას განურჩევლად „ლეკებს“ უწოდებდნენ. „ლეკობა“-საც აბრაგების მნიშვნელობით უმარობთ.



თარეშე ლეკების წინააღმდეგ, რომლებიც გადმოდიან ახალციხის
საფაშოდან და ატენის ხეობით აშენდენ ქართლის დარბევას. გვიპოვთ ამ

„ამ შემთხვევის გამო მე განკარგულება გავეცი ჩემთვის მოე-
წოდებინათ დაშვრილებითი ცნობები ატენის ხეობის შესახებ.

„თანახმად ჩემი მრავალებისა, გორის ოლქის უფროსმა მაიორ-
მა ტიტოვმა დაათვალიერა ეს ხეობა და მომახსენა, რომ ეს ხეობა
არ აღემატება 15 ვერსტს. მასში არის ერთი სახაზინო ბალი, ორი
დღესტინის ოდენა და იძლევა სულ 100 თუნგ ცუდ ღვინოს, სახ-
ნავი მიწები სულ არ არის.

„ამის გამო გავითვალისწინე ის მცირე სარგებლობა, რა-
საც იძლევა ატენის ბალი ხაზინისათვის, შედარებით იმასთან, თუ
რა სარგებლობა ექნება ამ ხეობის საყარაულო სოფლებით დასახ-
ლებას მთელ ქართლისათვის, რომელსაც ასე აოხრებენ მოთარეშე
ლიქები.

„ამ ადგილობრივ მნიშვნელობის მოსაზრებით საჭიროდ და-
ვინახე დავაქმაყოფილო გენერალ-მაიორ ერისთავის თხოვნა და
გადავსცე მას სამუდამო მფლობელობაში როგორც ატენის სახა-
ზინო ბალი, აგრეთვე ამ ხეობის ყველა სახაზინო მიწები. მხოლოდ
მას ჩამოვართვი შემდეგი შერილობითი ვალდებულება:

1. რომ მან ეხლავე იქ დაასახლოს თავისი გლეხები არა
ნაკლებ 50 კომლისა; 2) იყოლიოს თავის გლეხებისაგან მუდმივი
ყარაული ამ ხეობის დასაცავად მძარცველთა თარეშებისაგან.

ამიტომ გთხოვთ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობას-
თან შეამდგომლობას დაუმტკიცდეს სამუდამო და სამემკვიდრეო
მფლობელობაში გენერალ ერისთავს ატენის ხეობის ყველა სახა-
ზინო მიწები“¹.

არა ნაკლებ საინტერესოა ამ საკითხის შესახებ ერმოლოვის
მეორე შერილიც რუსეთის ფინანსთა მინისტრისადმი 1819 წლის
15 აპრილის თარიღით (№ 110). ერმოლოვი წერს, რომ „მხარის
დაცვის ინტერესი ჩემგან მოითხოვდა ფიცხელ განკარგულებას—
ატენის ხეობა გადამეცა გენ. ერისთავისათვის თავისი გლეხების
50 კომლის დასასახლებლად.

„ეს ხეობა ზედევ აკრავს ახალციხის საფაშოს და ჯერ კიდევ
საქართველოს უკანასკნელ მეფეებიდან დაშვებული, რუსეთის ხე-
ლისუფლების აქ დამყარების შემდეგაც იგი უკაცრიელია ყაჩალურ

¹ Акты Кавказской археографической комиссии; т. VI, часть II, стр. 750. Отношение ген. Ермолова к министру финансов, от 8-го марта 1817 года, № 37.



თავდასხმების შიშით და ყოველთვის წარმოადგენდა ბუდეს უცხოურებული ყაჩალებისას, რომლებიც აქედან ქართლს არდევნენ.

„მთავრობას დღემდე არ ჰქონია შესაძლებლობა ეს ხეობა და ესახლებინა სახაზინო გლეხებით იმ რაოდენობით, რომ მათ ჰქონოდათ საშუალება თავიანთი ყარაულები ჰყოლოდათ და დაეცვათ თავიანთი თავი ჯარების დაუხმარებლად.

„ასეთი დამცველი ჯარის იქ გაგზავნა, საცხოვრებელი ადგილების სიშორის გამო იქნებოდა მეტად საძნელო და თოთქმის შეუძლებელიც. ჩემი ეს მოსაზრება დღეის სინამდვილეში გამართლდა, ვინაიდან გენერალ ერისთავის მიერ 50 მეკომურის ატენის ხეობაში გაგზავნის შემდეგ უკვე მეათე თვეება, რაც იქ არ მომხდარა ყაჩალური თავდასხმები და დარბევები. ამისათვის გთხოვთ შუამდგომლობას მისი უდიდებულესობის წინაშე ამ მამულის საშუალო და სამეტვიდრეო საკუთრებად თავად ერისთავშე დამტკიცების დაჩქარების შესახებ“¹.

ამ ორივე წერილის შინაარსიდან აშეარად ჩანს თუ რას წარმოადგენდა ატენის ხეობა მე-19 საუკუნის დამდეგს. მტრების გამუდმებული თარეშებისაგან მთელი ხეობა გაპარტანებული ყოფილა, მოსახლეობა აყრილა და განიხინულა.

მეფის მთავრობასაც ვერ მოუხერხებია საკუთარი ძალით ამ ხეობის დაცა-გამაგრება და მიზანშეწონილად მიუჩნევია იგი გადა-ეცა თავადი გიორგი იესეს-ძე ერისთავისათვის თანახმად მისივე თხოვნისა, ამ გიორგი ერისთავს ზემდეტად უწოდებულენ „დიდ კინიშს“. იგი იყო ქანის ყოფილი საერისთავოდან და ბრძოლებში მამაცობისათვის დაჯილდოებული ყოფილა მრავალი ჩინ-ორდენებით. გენერალი გიორგი ერისთავი (1759—1864) ეჭვდა ლიტერატურულ მოლვაშეობასაც და მას რამდენიმე სტატია და ლექსიც აქვს დაბეჭდილი².

ამგვარად გიორგი ერისთავი გახდა ატენის ხეობის მებატონე და თანახმად ერმოლოვთან დადებული პირობისა მან დაიწყო ქანის ხეობიდან თავისი გლეხების გამოხსახლება ატენის ხეობაში,—ხეობაც თანდათანობით მოშენდა.

ატენის ხეობის დღევანდელი მოსახლეობის უმრავლესობა გადმოსულია ქანისა და არაგვის ხეობიდან.

¹ Акты кавк. археограф. комиссии, т. VI, часть I, стр. 26—27.
Письмо ген. Ермолова к министру финансов от 15-го апреля 1819 г. № 110.

² „სალიტერატურონი ნაწილი თბილისის უწყებათაგანი“ № 3, 1832 წ., გურ. „ცისკარი“ 1852 წ., № 1, 2, 3, 4; 1858 წ., № 2; 1863 წ. № 2, 5.



ატენის ხეობის ძეველი მოსახლეობა, უმეტესად იხიზნებოდა მოსახლეობის ხილისთავში, სადაც ისინი ღლესაც ცხოვრობდნ.

ატენის ხეობის ამ მღელვარე და აფორიაქებულმა პერიოდმა კარგი ხანია განვლო და აქაური მჭიდრო მოსახლეობა დღეს მშეი-დობიან ცხოვრებას მისცემია და ჩაბმულია სოციალისტურ მშე-ნებლობაში.

2. გათვალისწინებული კულტურის ძაგლები

ატენის ხეობა მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომელთა გაცნობა ნათელ წარმოდგენას იძლევა აქაური მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკურ ვითარებაზე.

მოსახლეობა შეფენილია მთის კალთებზე, სოფელი დასახლებულია შეაგუშულიად. დღეს ამ ხეობაში სულ 25 სოფელია, უმეტეს მათგანს შემოუნახავს ძეველი სახელწოდება, ბევრია ნასოფლარი და ახლად გაშენებული სოფლებიც. ამის ნათელსაყოფად აქვე მოგვყავს ძეველი (ვახუშტის მიხედვით) და ახალი სოფლების სია (სოფლსაბჭოების მიხედვით):

ატენის ხეობის სოფლები

ვახუშტის აღწერით:

1. ქვახვრელი, 2. ხიდისთავი, 3. გორისა, 4. ჯოხისი, 5. ტანის-პირი;
6. წედისი, 7. ბნავისი, 8. ოლოსი, 9. ღვარები, 10. ცა-მნათ-უბანი,
11. ბაგრანეთი, 12. ვერე, 13. ატენი, 14. სიონი,
15. დრე, 16. ღვედრეთი, 17. ხანდისი, 18. იკუნევი, 19. სიქალეთი,
20. კეზევი, 21. წეროსი, 22. ბობნავი, 23. ლუისხევი, 24. თხილნარი,
25. ორმოთი, 26. ბიეთი.

დღეს:

1. ქვახრელი, 2. ხიდისთავი, 3. გორისა, 4. წედისი, 5. ბნავისი,
6. ღვარები, 7. ვერე, 8. ატენი და გარდატენი, 9. დრე,
10. ღვედრეთი, 11. ხანდისი, 12. იკუნეთი, 13. სიქალეთი, 14. წერო,
15. ბობნევი, 16. თხინალა, 17. ორმოცი, 18. ბიისი, 19. ბოშური,
20. ტუსრები, 21. კველაანთ უბანი, 22. გაგლოანთ უბანი, 23. ლევიტანა, 24. წერეთი, 25. იფნარა (ჭალის ხევი).

ჩვენ შევეხებით იმ სოფლებისა და მათში დაცული ძეგლების აღწერას, რომელთაც ამ მხარის გასაცნობად არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

ხიდისთავი გორიდან დაშორებულია 4 კილომეტრით და მდებარეობს იქ, სადაც მდინარე ტანა უერთდება მტკვარს. სო-

უელს ეს სახელი დარქმევია იმის გამო, რომ იგი მდებარეობდა გორის ძველ ხიდთან (ხიდის თავზე).

ამ ნახიდარის ქვიტკირის ბურჯები დღესაც დგანან მტკვარ-ზე, გორის ომისავლეთით, ქალაქიდან ორი კილომეტრის მანძილზე. სულ ხუთი ბურჯია; სამი დიდი, ორი მცირე, ფორმით ოთხკუთხედია, ნაწილობრივად დაშლილი.

ძველი გორის გზა, რომელიც მიემართებოდა ტანასა და მტკვრის ხეობით, ამ ხიდზე გადიოდა. მგზავრები, ჩალვადრები და ქარავნები დგებოდნენ ჯერ ამ ხიდის თავში, სადაც დღეს საშუალო სკოლაა, ნებართვის მიღების შემდეგ გადადიოდნენ ხიდზე და შედიოდნენ გორში.

ხიდისთავი მაშინ ჭარბოდებული ერთგვარ საბაჟო-სადგურს. იგი ეპარა თავად ერისთავს, რომლის სასახლე სოფლის თავზე პირდაპირ გასცეუროდა ხიდს. ერისთავის ნებადაურთველად არავის არ შეეძლო უცხო მგზავრისა და სავაჭრო ქარავანის გატარება ხიდზე. ერისთავის ნასახლარის კვალი დღესაც კარგად ეტყობა. ხიდისთავი იყოფა ორ უბნად: ხიდისთავი და ოხერა. მას არ ყოლია მებატონე, იგი სახაზინოდ (სამეფოდ) ითვლებოდა.

აქაური გვარები გადმოსულები არიან ატენის ზემო მხრიდან. ტაგალითად, ტლაშაძეს უცხოერია ატენში, მაგრამ ლეკიანობის გამო გადმოსახლებულა ხიდისთავში. ტლაშაძე ძლიერი და შეძლებული გვარი ყოფილა. ამ გვარს ბატონი არ ყოლია. ციციშვილები ცდილობდნენ ტლაშაძეების ყმებად გადაქცევას, მაგრამ ვირას გახდნენ თურმე. ტლაშაძეებს უჩივლიათ ხელმწიფესთან და ხელმწიფეს მოუწერიათ: „რომ ტლაშაძის კარზე მზისა და წვიმის გარდა არაფერმა არ გაიაროს, თორებ რისხვას მიიღებთ“.

ხიდისთავ-ოხერაში საყურადღებო ისტორიული ხასიათის ძეგლები არ არის დაცული. აქ ყოფილა ძველი ეკლესიები, რომლებიც გორის მიწისძერის დროს (1920 წ.) დანგრეულა. ყოფილა აგრეთვე სამი ქოშკიც, მრგვალი ფორმისა, დღეს აქ ნაკოშკარიც არ ეტყობა. ხიდისთავის მახლობლად ე. წ. ზედაველას სასაფლაოზე დაცულია ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი მელვინეთ-უხუცესის (1815—1878) საფლავი. საფლავის ქვაზე ლამაზი ხელით ქართულად აწერია: „დასდო ლვაწლი მამულს არქეოლოგიურის შრომით, რომელიც გამოიცა სანკტპეტერბურლის საცეცნიერო აკადემიის მიერ“.

ხიდისთავის მეორე უბანს — ოხერას, ეს სახელი იმიტომ დარქმევია, რომ აქ აგროვებდნენ სალებავ მიწას (ოხრას) ამის გამო ამ უბანსაც ეწოდა — ოხერამ.



მეორე გადმოცემით ამ უბანში დასახლებულან ჯავახეჭრებისა სოფ. ოხერადან გადმოსახლებული ქართველებით.

მესამე თქმულებით მტერი ამ მიღამოს თხერებდა და ხალხმა მას ამის გამო ოხერა უწოდათ. ამ უბანში არის ძევლი ნაკოშვარი და ეკლესიის ნანგრევი.

წელისი — ბნავისის საბჭოშია. ეს სოფელი გაშენებულია მთის ფერდობზე, ჩამოუდის პატარა წყალი ათრევა, რომელსაც აგრეთვე გომარეთის წყალსაც უწოდებენ. ათრევა ტანას უერთდება ჯებირთან. წედისის მოსახლეობა არ იღება ტება 25 კომლს. წინათ აյ ყოფილა მცირო მოსახლეობა, რასაც მოწმობენ აქაური ნამოსახლარი ადგილები და ეკლესიების ნანგრევები. აგრეთვე დიდი და შესანიშნავი წედისის ციხე. შე-18 საუკ. ეს სოფელი ამოწყვეტილა, მოსახლეობა გახისძინული ზოგი იმერეთში, ზოგი კი ფრონეს ხეობაში. საყურადღებოა, რომ იმერეთში გაცემული წედისელები აქ მოდიოდნენ სალოცავად წედისის წმ. გიორგის ხატობაში.

ვა ხუშტი წედისის ხევს ასე აგვიწერს: „მტკვრის სამხრით-დასავლეთიდამ ერთვის ატენის-წყალს წედისის ხევი. წედისს არს ციხე მცირე, და არს ხეობა ესე ვენახოვანი, ხილიანი“-ო (გვ. 56).

წედისის ხეობა ეკუთხნოდა ერისთავებს, რომელსაც ქალი მიუთხოვებია გორელ ამილახვრისათვის და ეს ხეობაც მისთვის მზითებები შიურია. ამ ხეობის უკანასკნელი მებატონე ყოფილა ნიკა ამილახვარი.

წელისის ციხე საყურადღებოა თავისი ნაგებობის ტექ-ნიკით და კონსტრუქციით. ციხეს უჭირავს საქმაოდ დიდი ფართობი. მისი კედლები ნაგებია კლდის ქით, დიდი ლოდებისაგან და ტოვებს ციკლოპური ნაგებობის შთაბეჭდილებას. კედელი სქელია და დუღაბით შეკრული. მისი სამხრეთის ნაწილი დანგრეულია. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედელი მომრგვალებულია, ეტყობა წარმოადგენდა საბრძოლო კოშკს. კოშკს აქვს ერთი შესახლელი კარი, რომელიც გადის ციხის ეზოში. ციხის მოედანი შემოზღუდული ყოფილა მაღალი და მაგარი ქვიტეკრის გალავნით, რომელიც წარმოადგენდა მეციხოვნეთა თავშესაფარს.

აქვე იხიზნებოდა შიშიანობის დრის წედისის მოსახლეობა. ციხის გალავანში მოთავსებულია წმ. გიორგის სახელობის ძევლი ეკლესია. წედისის ციხე-გალავანი აგებულია მაღალ კლდეზე და ძნელი მისადგომია.

ჯებირი ატენის პირველი უბანია გორიდან. ხალხური გად-მოცემით აქაური ყოფილა ცნობილი გმირი ჯეფირი და ამ უბანსაც მისი სახელი დარქმევია.

საყურადღებოა, რომ ვახუშტი ის მოხსენებული აქვს ჯეფი რეკორდისა და საფლავი, რომლის შესახებ იგი ამბობს: „ამას ზეთ მცერთვების მიზანია რანას ხევი დრისა, გამომდინარე რაზმოთისა მთასა; და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო. აქ არს საფლავი ჯეფირისა, რომლისა სივრცე ხუთი ადლი, და სცოცხლობდა ქამისა როსტომ მეფისასა“-ო (გვ. 57).

ერთი სიტყვით, ვახუშტის ამ პატარა და ნაწყვეტ ცნობიდან ირკვევა, რომ ჯეფირის არსებობა მაშინაც ცოდნიათ და მას უცხოერია როსტომ მეფის დროს, რომელიც მეფობდა ქართლში 1632—1658 წ.

ჯეფირის ფიზიკურ ძლიერებას, გოლიათურ მოყვანილობასა და გმირობას მოწმობს აქაური ხალხური თქმულებაც; ჯეფირი არაჩეულებრივი ფიზიკური ღონისძიების პატრონი ყოფილა. ისეთი ზორბა და მოსული ვაჟკაცი იყო თურმე, რომ მისი ცალი ფეხის პატარი ჩადიოდა ერთი კოდი ხორბალიო.

ატენში დღესაც ცოცხლობს ჯეფირის სახელი და ხსოვნა. აქ ხშირად იტყვიან, „ჯეფირი ხომ არა ხარო“, „ლონიერია ჯეფირი იყიდოთავ“ და სხვა.

თემიდან მას განუზრახავს წყლის გამოყვანა ხოვლეში, თოყზე გამოუბავს წვეტიანი დიდი ქვა და ამ ქვით თხრილი გაუცლია, მაგრამ სოფელს საგზალი არ მიუტინია, ამაზე ჯეფირი გაბრაზეჭულა და ეს საქმე დააუქმაო (არ გააკეთაო).

ატენი — დიდი სოფელია და იყოფა რამდენიმე უბნადოქტომბრის რევოლუციამდე, იგი წარმოადგენდა ერთ დიდ სოფელს და მას დიდი ატენი ეწოდებოდა. მისი მოსახლეობა აღწევდა 800 კომლამდე. ამის გამო სოფელი განიცდიდა მიწისა და საკარმიდამო ფართობის დიდ სივიწროვეს. მით უშეტეს ტანას ხეობას აქ მეტად ვიწრო კალაპოტი აქვს, მის სანაპიროზე კი ვენახები და ბალ-ბოსტნებია გაშენებული.

ტანას ხეობის გაღმა მხარე, ე. ი. მარჯვენა მხარე ეჭირა მებატონე ერისთავს, მარცხენა კი ორბელიანს, რომლისაგან მამულის ნაწილი შეუსყიდია მწარმოებელ ზეზემანს. ორბელიანსა და ერისთავს აქ ჰქონიათ დიდი ვენახები, აყენებდნენ კარგ ლვინოს, ჰქონდათ სარდაფები და უზარმაზარი ქვევრები.

ავგუსტ იაგორის ძე ზეზემანი ფინელი იყო და მან მე-19 საუკ-80-იან წლებში ტანას ვიწრო ხეობაში გაიყვანა ვიწრო ლიანდა-გიანი რეინიგზა, რომელიც გორიდან ტანას ხეობით გადიოდა პორჯომის ხეობამდე.



ხე-ტყე გამოჰქონდათ ბოპენევილან, ბიისიღან, თხინალიშვილის გამოცემა, თხინალიშვილის გამოცემა, ბოშურიღან, ტუსრეგილან, საცხენისიღან, თეთო წყლიღან და ლევიტანიღან (ტანას სათავე).

მას ჰქონდა ქარხნები ზინდისში, ლევიტანაზე, პატარა ატენში (ორი) ერთი ცეცხლისა და წყლისა.

ამზადებდა შბალებსა და ფიცრებს და აგზავნიდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვალასხვა მხარეში, უმთავრესად ამარავებდა რკინიგზას.

ზეხემანის რკინიგზა აქ დღესაც კარგად ახსოვთ, მისი პირველი მუშა ყოფილა სანდრო თედოს-ძე ჭილლაძე, რომელსაც კარგად ახსოვდა ქარხნის ისტორია. ზეხემანის ეს რკინიგზა მუშაობდა 1918 წლის დასასრული მონაბეჭდის დროს წყალდიდობამ წალეკა, გააფუჭა და შემდევ ის აყარეს.

ზეხემანის ჩარჩული ექსპლოატაციის წყალობით დაუზოგავად ნადგურდებოდა ატენის ლამაზი და ძვირფასი ტყე და დღეს მაშინდელი გაკაფული და გაშიშვლებული მთები საცოდავად გამოიყურებიან.

რევოლუციის შემდევ აქაურ მემამულებს ჩამოერთვათ მიწები. ორბელიანის, ერისთავებისა და ზეხემანის მამულები დაყვეს ნაკვეთებად და მოსახლეობას გაუნაშილეს საკარმილამოდ. დაიწყო დიდი ატენის მექომურთა გასვლა და ზეიქმნა ატენის ახალი უბნები: ჯებირი, ვანიანთუბანი, გარდატენი, პატარა ატენი, დევეულა და კეპელაანთუბანი.

ატენის ეს ახალი უბნები განსხვავდებიან ძველი ატენისაგან. ახალი ატენი უფრო კეთილმოწყობილია, ქუჩები განიერია და დაგეგმილი, სახლები ორსართულიანია და კრამიტით გადახურული.

პატარა ატენის ზემო გორაქზე არის ძველი სამლოცველოს ნანგრევი „ხუნგალის წმ. გიორგი“, რომლის დანგრევის შესახებ ასესბობს ასეთი ტემულება.

ერთ და-ძმას მშობლები პატარაობიდანვე დახოციათ და გასაზრდელად სხვადასხვა პირებს წაუყვანიათ. და-ძმა ერთმანეთს დაშორდნენ და არაფერი იკოდნენ ერთმანეთის შესახებ. შემდეგ როდესაც ასაქში შესულან, ამ უცნობლობის გამო, ვაჟს თავისი და ცოლად უთხოვია, პატარაძალი დასაქორწილუბლად მიუყვანიათ ვაჟის ოჯახში. ნეფე-პატარძალი მეჯვარითა და მაყრიონით შესულან ხუნგალის ექლესიაში და ჯვარი დაუწერიათ. ამგვარი საქმის ჩადენისათვის ხუნგალის წმ. გიორგი განრისხებულა და ჯვრის წერის ღრმას ექლესია დანგრეულა.



ხალხური გადმოცემით, ამ ნანგრევებში ჩამარხულია ნელსონის პატარძალი (და-ძმა), მათი მაყარი და მღვდელი-დიაკვანიო.

დაიდი ატენი მდებარეობს ტანასა და საცივისხევს შორის და შედგება დაახლოებით 60 მეტრისაგან.

ვა ხუმტი მას ასე აწერს: „ატენი მცირე ქალაქი. მოსახლენი ქართველნი, სომები, ურიანი. არს ციხე მაღალსა კლდესაზედა, ნაშენი დიდი, და ციხის გორის სამხრით არს საცვი, ვითარცა მყინვარი; სადაც დგება ლვინი წარჩინებული; ჩრდილოთ კერძ სდის თბილი წყალი, მეურნალი ბუგრისა, და სდის სხვაცაცივი წყარო. ატენის სამხრით არს მონასტერი სიონი, გუმბათიანი, კეთილნაშენი“-ო (გვ. 57).

ატენში დაცულია საყურადღებო ძეგლი ატენის ძველი ციხე, რომელიც მაღალ და კლდოვან გორაკზეა აგებული. მას ორივე მხრიდან ხევი ჩამოუდის; ერთს ეწოდება საცივისხევი, საიდანაც გამოდის გრილი ნიავი. ამის გამო ამ ხევის კლდეში წინად გამართული ყოფილა ლვინისა და ხორცეულის საცივარი თარო-თახებით, სადაც ინახავდნენ გასაციებლად ზაფხულობით სასმელსა და სურსათს. დღეს მიცივარი დაშლილია, თახები კი ჩანგრეული.

მეორე ხევი, რომელიც ამ ციხის ქედს ჩამოუდის ჩრდილოეთის მხრიდან არის აბანის ხევი, რომელსაც ვახუშტი უწოდებს თბილ წყალსა, მეურნალს ბუგრისა.

ამ საცივისა და აბანის ხევს შეა აღმართულია მაღალი კლდე ქედი, რომლის აღმოსავლეთის ცხვირზე აგებულია ატენის ციხე. ეს ციხე გორის მიწისძერამდე (1920 წ.) კარგად ყოფილა დაცული, მიწისძერას დაუნგრევია მისი სამხრეთი ნაწილი. ციხე ნიგებია კლდისქვით დუღაბით. მას აქვს მომრგვალებული ფორმა და ერთი შესასვლელი კარი ჩრდილოეთის მხრიდან. ციხეზე აღის ვიწრო ბილიკი, ძლიერ დაქანებული და საშიშიც. ციხის კედლებს სიმაგრისათვის დატანებული აქვს კონტრფორსები (ბურჯები).

ციხეს აქვს ერთი შესასვლელი კარი, სადაც შედისართ მოგრძო დერეფნის მსგავს თოახში, რომელსაც კედლებში დატანებული აქვს თოხი თახია.

მას აღმოსავლეთით ეკვრის ორი ოთახი, დაბალი და ქვით გადახურული, რაც უნდა იყოს წყლის საცვი აუზი.

ზემო, მეორე განყოფილება ეტყობა განკუთვნილი უნდა ყოლიყო მეციხოვნეთათვის, სადაც თავსდებოდნენ მეომრები და ციხის მცენები.

ატენის ციხის კედლებს არა აქვს სათოფურები, რაც გამოიყენება
მაჩვენებელია, რომ ატენის ციხის ნიგებობის კონტრუქციაში ასევე
ლია. როგორც ვიცით, ამ ატენის ციხისთავი მოხსენებულია ატე-
ნის ტაძრის 1060 წლის კედლის წარწერაში. მაგრამ უნდა ვიყა-
რაუდოთ, რომ ციხისთავი XI საუკუნეზე ადრეც იყო. საფიქრებელია.
რომ ატენის ციხის აგება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ატენის
სიონის მშენებლობასთან VII საუკუნეში იმ მიზნით, რომ დაცვათ
ატენის ხეობა და მისი ტაძრის უშიშროებაც.

ციხის ქერი გამართული ყოფილა მუხის დიდ მორებზე და
ზედ ქვით გადახურული.

წყალი ციხეში ამოდიოდა მიღებით ულელტეხილის წყარო-
დან (დაშორებულია 5 კილომეტრით). ეს წყალი გროვდებოდა
ციხის აუზშიო.

ატენის ციხე გარკვეულ როლს ასრულებდა ტანას ხეობის
დაცვაში.

როგორც ვიცით, XVI საუკუნის დასაწყისიდან ქართლის მე-
ფე ლუარსაბ I (1526—1557 წ.) მედგარ ბრძოლას აჭარმოებდა
სპარსეთის შაპ-თამაზის წინააღმდეგ, რომელმაც აიღო თბილისი
და ლუარსაბი იძულებული შეიქმნა განიჩნულიყო გორში. ამის შე-
სახებ მემატიანე ასე მოგვითხრობს:

„ხოლო შაპ-თამაზ მოვიდა გორს და იღილო ციხე წედისისა,
ციხე ძალათ აიღეს და ვერის ციხე ნებით მოსცა ფარსადან და
უკნებლად ციხოვანნი მორჩნენ იქიდამ, და მიადგა ციხესა ატე-
ნისასა, რომელ ძრს თავსა საცივისასა, რამეთუ მას შინა იყვნეს
დედა და დამ ლუარსაბისა და სხვანი მრავალნი ჯალაბნი თავად-
თანი. ამისათვის გარედამ ყაენის ლაშქარი შემოადგა და შიგნი-
დამ ქართველნი, დაუწყეს ერთმანერთს ცემა და ბრძოლა და
მრავალნი ყიზილბაში დაიხოცნენ და ციხის აღება გაძნელდა,
ამისათვის რომე არც სიბა მიიტანებოდა და არც შეეთხრებოდა
და არც სით თოფი ესროლებოდა და თათართ ერთი ფარეში,
კავთისხეველი ბეთიაშვილი, ფარეში მეფის ლუარსაბის დედისა
დაიქირეს და სიკვდილის შიშით იმან უთხრა: „თუ არ მომქლავოთ,
ციხეს აგალებინებო“. და ამათაც უკნებლობის ფიცი უთხრეს და
იმან ეს ამბავი უთხრა: „ჭის წყალი დალევია და ჩრდილოეთისა-
კენ მომცრო წყალი გამოუდისო და იმ წყაროს მისაპარავი გზა
აქვს; გასწავლითო და ის დაუჭირეთო და ღონე გაუწყდებათო,
მოგცემენ“.

იმ წყლის გზა ასწავლა, ყიზილბაშთ წყალი უკუ-უკრეს, ან
ხოვანთ მშეელელი იღარსით გაუჩნდათ და უწყლობამაც ძალა მომდებარებული
და მრავალი ყიზილბაში და ქართველნი იმ ციხის აღებაში ამ-
2. სერგი მაკალათია



წყდნენ და ციხე აიღეს, დედოფალი ნესტანდარეჯანი, დედა მეურე ლუარსაბისი, და დად და მრავალნი სხვანი ჯალაბნი თავაჭულიათვა თანი ტკი ყვეს. ქორნიკონსა მძღ-(244)=(1556.) და მეურის ლუარ-საბის დედა და დად ქვეითი წაასხეს ციხითგან ზედა-ყელამდის და შერმე მეაქლემეთ მისცეს და წარიყვანეს. მეურე ლუარსაბ ხან აჩა-ბეთის სიმაგრეში და ხან იმერეთს იყო. მაშინ წარმოსტყვენა ცი-ხე იყი ატენისა, და ყენი იყიარა და ყარაბალში წავიდა“ (აქარ-თლის ცხოვრება“). ზ. კიტინაძის გამოცემა, გვ. 731—32). ატენის ციხეს ებრძოდა, აგრეთვე როსტომ მეურე ნოდარ ციციშვილის წი-ნააღმდეგ, რომლის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „ხოლო ნო-დარ ივლტოდა და შევიდა ციხესა ატენისასა. მოვიდა როსტომ მეურე და შემოაღვა გარს და ვერცალა მუნ გამაგრდა ნოდარ და წარვიდა ზემოქართლად, რომელს არს საათაბაგო. ხოლო როს-ტომ მეურემ ალილო ციხე, დაამტერია და წარმოვიდა მუნითგან“¹.

ატენის ციხის ქვემო კედელზე მიშენებულია საყარაულო კოშ-კი, რომელიც გადასცემრის აბანოსხევეს. ატენის ციხიდამ კოშკი 300 მეტ. იქნება დაშორებული. კოშკი ნაგებია კლდის ქვით, დუღაბით, მრგვალი ფორმისაა და სამსართულიანი.

პირველი სართული ბნელია, არა აქვს სარკმელები და სა-თოფურები, მეორე სართულს დატანებული აქვს ოთხი სათოფუ-რი, მესამეს კი ჩრდილოეთის მხარეზე აქვს გამოკრილი პატარა კარი და ექვსი სათოფური.

კოშკის ჭერი გამართული ყოფილა მუხის მორებზე, ქვით გა-დახურული. სახურავი ჩაქცეულია.

ტანას ხეობაში, ატენის სიონის მახლობლად დაცულია ერთი საყარაულო კოშკი, რომელიც აგებულია მაღალ კლდეზე და გადას-ცემრის ტანას ხეობას.

კოშკი ფორმით ოთხკუთხედია, ნაგებია ქვიტკირით (კლდის ქვით). კოშკი ორ სართულიანია. შესასვლელ კარებში აქვს საკე-დური.

კოშკის ჭერი და სახურავი ჩაქცეულია. დიდ ატენში დაცუ-ლია რამდენიმე ძეველი ეკლესია:

1. ლვთისმშობლის სახელობის მცირე ეკლესია, რომე-ლიც ერისთავიანთ სასახლის ეზოშია მოქცეული. ეკლესია ჯვრის ფორმისაა, ნაგებია ქვიტკირით. იგი ლამაზია და სიმეტრიული, მაღალ გუმბათიანია. ტაძარი მოპირკეთებულია თლილი მოლურჯო-

* 1 ეგნატა შვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1940 წ., გვ. 179.



ჩოფურა ქვით, გადახურულია ქვით. გარედან კედლებში ჩატარებულია წარწერიანი მოცისფერო ქვები. შესასვლელი კარი აქვს სამხრეთით. კარისთავზე და მის გარშემო ჩასმულია ჩუქურთმიანი სამი ქვა, რომელსებაც მოჩანს მკრთალი ხუცური წარწერა. ეკლესიის დასავლეთის მხარეზე კარისთავზე დაცულია მოცისფერო ქვაზე ასომთავრული წარწერა, რომელიც ჩასმულია ლამაზი მცენარის ჩუქურთმიან წნულში. წარწერა ასე იყითხება:

„ქრისტე, აღიდე ორსაე ცხოვრებასა აქა
ჰორციელებრ და წინაშე შენსა სულიებრ
რატ ერისთავი, ძე ლიპარიტ
ერისთავთ ერისთავისა.
აღაშენა ესე სახლი ლვთისად
და ბეჭედ ცათად წმიდის
ეკლესიის სალოცავად
სულისა მათისა“

ატენის ეს გუმბათიანი მცირე ეკლესია წარმოადგენს ატენის სოონის მინიატურულ სახეს. ნაგებობის მიხედვით უნდა მიეკუთვნოს უფრო ძლიერ ეპოქას. VII—VIII საუკ. მართალია, წარწერაში ეკლესიის აღმაშენებლად მოხსენებულია ლიპარიტისე რატი¹, მაგრამ იგი უნდა იყოს ამ ეკლესიის გადამკეთებელი ან განმაახლებელი.


ამის შესახებ ლ. რჩეული შვილი ასეთ განმარტებას იძლევა: „ატენის გუმბათიანი მცირე ეკლესია აგებულია VII საუკუნის ნახევრიდან IX საუკუნის დამლევამდე; ხელმეორედ იღლვენილი და გადაკეთებული ყოფილი X საუკუნის მორე ნახევარში ლიპარიტის ძე რატის მიერ, რომელსაც შენობა მოურთავს ახალი სტილის ყაიდაზე რამდენიმე დეკორატიული აქცენტით და ლაპიდარულ წარწერაში თავის თავი „ლვთის სახლის“ აღმაშენებელ ქტიორიად გამოუცხადებიამ“².

ატენის ეს პატარა საყდარი ეტყობა ვერ იტევდა მლოცველებს და 1870 წელს დასავლეთით შეიშენებიათ მოგრძო, დარბაზული ტიპის ეკლესია, ზედ აგურის სამრეკლოთი.

ატენის სიონი — აშენებულია დიდი ატენის თავზე, ტანას ნაპირას. ეს ტაძარი ცნობილია ქართული ხუროთმოძღვრების

¹ ეს ის რატა, რომელიც 969 წელს ფამარცხა ბაგრატ III-მ და წართვაშას კლდეკარი და ატენის ხეობა.

² ლ. რჩეული შვილი, ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია, ქართული ხელოვნება, ტ. I, თბ., 1942 წ., გვ. 40.



სურ. 1. ატენის სიონი.

ისტორიაში, სიონის ეს დიდი ტაძარი თლილი ქვით არის ნაგები და შიგნით შემკულია მაღალხარისხოვანი მხატვრობით. სიონის ტაძარი, მისი არქიტექტურა და მხატვრობა კარგად არის შესწავლილი და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

უკანასკნელი დროის გამოკვლევით სიონის ტაძარს ათარი-ლებენ VII საუკუნის პირველი ნახევრით¹. ატენის ტაძარი, აღმოსავლეთის ფასადის ბარელიფზე დაცული წარწერის მიხედვით, აგებული უნდა იყოს ერისმთავარის სტეფანოს II დროს. (639 — 663 წ.).

ატენის ტაძრის მხატვრულ-ისტორიული ანალიზი, რომელიც ეკუთვნის აკად. გ. ჩუბინაშვილს, ნათლად ამტკიცებს, რამ იგი არსებითად მცხეთის ჯვრის განმეორებას წარმოადგენს: „მონუმენტური ასლია შეცხეთის ჯვრისა“-ო².

¹ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ნ. I, ტუ.. 1926 წ., გვ. 134; И. Джавахишвили, к вопросу о времени построения груз. Храма в Атени. Христ. Вост. т. I, СПБ. 1912 г. стр. 291—295.

² გ. ჩუბინაშვილი — იქვე, გვ. 130.

მიუხედავად მიბაძულობისა, პროფ. შ. ამირანაშვილის მიერთებული კონკრეტული მინც არ იყო მოკლებული შემოქმედების განვითარებაზე უნარს და ეპოქის სათანადო დონეზე იდგა.

ატენის კედლის მხატვრობა მიეკუთვნება XI საუკუნეს¹. ამ მხატვრობას ახასიათებს ფიგურების კეთილშობილური მოხა-ზულობა და ცხოველი გამოსახულება. მნახეველს აოცებს ფერების პარმონიული შეხამება.

ატენის სიონი საინტერესოა იგრეთვე თავისი ისტორიული ხასიათის წარწერებით. ტაძრის შიგნით, დასავლეთის კედელზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ბულას მიერ თბილისის აღებას და ამირა სააქას მოკვლას, იგრე-თვე ზირაქის მიერ ერისთვის კახასი და მისი შვილის თორხუნჯის შეპყრობას².

ეს წარწერა დათავილებულია 853 წლით. მეორე დიდი წარ-წერა მოთავსებულია სამხრეთის გარე კედელზე, რომელიც მოგვი-თხრობს ატენის ქალაქის აშენებაზე. წარწერა ასომთავრულია და ასე იყიდება:

1. სახელითა ლმრთისამთა მე გრგნლმან (გორგანელმან)³. მირიანის ყამან

2. თარხონის ძისამან, ატენისა ციხისა თავმან, ავაგენ სახლნი

3. და ქოლბაგი მას უამსა, ოდეს, ადიდენ ლმერთმან, ძლიერ-მან მეფეთა მეფემან

4. ბაგრატ იბრძანეს მიწასა მათსა მირიანს. პატრიონსა ჩემსა

5. სეფესა ზოვარსა შილა ქალაქისა შენებაზ, გაომარჯოვა ლმერთმან

6. და ბერმან მეფობისა მათისამან; კითა სწადდა მეფობა-სა მათსა, ეგრე

7. ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვრუალნა მეფობამან მათმან, სახახლენი იდგილი და საქოლბაგე-

¹ თ. ვ. ბარნაველი, „ატენის სიონის მასტერისას თარიღის შესახებ“ საქარ. სსრ აკად. მოამბე, ტ. XVII, № 3, 1956 წ., გვ. 281—286.

² ი. ვ. ჯავახიშვილი, ხრის. ხატ. ტ. I, ნაკ. III, გვ. 279.

³ მირიანის ყმის ეს სახელი შეძრებულია (დაქარაგმებულია), რომელ-საც მ. ბროსე კითხულობს — გრიგორიად. ექვ. თაყაიშვილს კი უფრო მართებულად მიაჩინა — გორგანელად.

(Е. Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. V, Тб. 1913 г., стр. 70). ერთი სიტყვით სახელი „გრენელი“ ჯერ ჭიდვე არ არის საბოლოოდ ამოკითხული.



ნაჩ. 2. ატენის კედლის მხატვრობა.

8. ნი მკუდრად ნებიერობით გუბოძნა მირიანს და ყმათა მისა,
რომელთაც შენებად

9. შეეძლო მე ავაგე სახლი და ქოლბაგი და შევჭირე წმიდა-
სა სიონსა ატე-



10. ნისსა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისსა, სალო
ცველად—ჰეივანმცა კონისამდე ძლიერი შე

11. ფეთა ჩეფტ ბაზრატ სევასტოსი და ქე მათი გიორგი
კოურაპალატი და სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა.

12. გამზრდელისა პატრიონისა ჩემისათვინ დავდევ დღე თევ-
დორობად აღა-

13. პად. გარდაიქდიდეს მამასახლისი წინამძლოვარი სიონი-
სახ, ვინც იყოს, ქრისტე შემიწყალენ¹.

და ანა ახევისი ყველაზე მაღალი მწვერვალია ამ ხეობაში.
აქედან კარგად მოსჩანს შიდა ქართლის სოფლები და დაბები. და-
ნახისის მწვერვალი საყვარელი ადგილია ტურისტებისათვის. მიუ-
ხედავად სიძნელეებისა ახალგაზრდობა ყოველწლიურად ათასობით
ადის ამ მწვერვალზე და ტკბება მისი შიდამოს სიმშვერიით.

ამ მწვერვალზე იგებულია ქვიტკირის პატარია ეკლესია „წმ.
გიორგი“, რომლის შესახებ ვა ხუმტე ი ამბობს: „დანახვისი დგას-
მაღალს მთასა ზედა, ეკლესია წმიდისა გიორგისა, მწვრეტი ქარ-
თლისა“-ო (გვ. 57). დანახვისის ეკლესია ერთნავიანია. იგი სადა-
და თავისი ნაგებობით არ წარმოადგენს საყურადღებო ძეგლს.


ხალხური გადმოცემით, დანახვისი და „ახალჯვარი“ ხელში-
შვილდისრებით ეშმაკებს (ბოროტ სულებს) ხოცავნო.

გარდა არ ენი ვერეს ხეობაშია. ვერეს წყალი ტანას ერთვის
ჯებირთან. ამ ხეობას უჭირავს საკმაოდ დიდი ფართობი. გარდა-
ტენი მოზრდილი სოფელია (120 კომლი), საკმაოდ შეძლებული.
სახლები ქალაქურად აქვთ მოწყობილი. მოსახლეობა მისდევს მე-
ვენახეობასა და შესაქონლეობას. სოფელი გაშენებულია ზედაველას-
ქედის ძირში. ზედაველა იძლევა საუკეთესო საშენ მასალას. სახ-
ლებსაც ამ ქვისაგან აგებენ.

გარდატენში დაცულია ძველებური დარბაზი. იგი კარგად
არის შენახული და მოცულობითაც საკმაოდ დიდია. შეუაში აღმარ-
თულია მაღალი გვირგინი. აქვს ორი დედაბოძი თავხეებით გამარ-
თული. დედაბოძი მოჩუქურთმებულია, გამოსახულია ჯვარი და
ორი ირემი. დარბაზის კედლებში დატანებულია თახჩები და თა-
როები. ჩრდილოეთის კედლებში გამოჭრილია თახჩები.

ალსანიშნავია ვერეს ციხე, რომელიც მდინარე ვერეს ხეო-
ბაშია. იგი აგებულია კლდოვან მწვერვალზე, რომელსაც ჩრდილო-
ეთით ვერეს ხევი ჩამოუდის, სამხრეთით კი—ჰიმილანთ ხევი. ცი-

¹ თ. უორდანია, ქრონიკები 1, გვ. 206; И. Джавахишвили,
Хр. Вост. т. I, в. III, გვ. 289—290.



სურ. 3. გარდატენის დარბაზის დედაბოძები.

ზეში გზა ადის შემცილაანთ ხევიდან. ვერეს ხევიდან ციხეზე ასვლა შეუძლებელია, კლდე დაქანებულია და ეშვება ლრმა ხევში.

ციხე ნაგებია კლდის ქვით და დუღაბით არის შეკრული. შესავალი კარი ციხეს აქვს ჩრდილოეთის მხრიდან. ძნელი შესასვლელია, აღვილი კლდოვანია და დასხლეტილი. შესაძლებელია შესასვლელი წინად სხვაგვარად ყოფილიყო გამართული. დღეს კი წარმოადგენს ციცაბო კლდეს და საშიში გასავლელია, თუ მაგრად არ მოექმდე ციხის კედელს.

ციხე გრძელია და ვიწრო. შიგ დანგრეულია, დარჩენილია მისი მხოლოდ გარე კედელი და დასასვლეთის მხარეზე ერთი მომრგვალებული ფორმის თაღიანი ოთახი, რომელსაც ჩრდილოეთის მხარეზე აქვს დატანებული სამი სათოფური, დასასვლელის მხარეზე კი განიერი სარქმელი.

ციხიდან ამ ოთახს აქვს ლია თაღიანი შესასვლელი. ციხის მოედანზე არის ერთი პატარა ოთახი (შესაძლებელია იყოს ხორბლის ხარი ან წყლის აუზი), მას სახურავი აქვს ჩანგრეული. ციხის ეზოში ბევრია ჩაქცეული სათავსოები.

ვერეს ხეობაში დიდი ველების მთის ძირში არის ძეველი ტაძარი, რომელსაც უწოდებენ მონასტერს. წინედ აქ ბერებს უც-



ხოერიათო. მონასტრის სახელწოდებაც დავიწყებას მისცემია უძრავი სალოცავად დაღიოდნენ და მას არავინ პატრონობს.

ვერეს ტაძარი (მონასტერი) საყურადღებო ძეგლია, რომელიც ტყითა და ძეგვით არის დაფარული, ტაძარი სამნავიანია, შეასვი გვერდის ნავისაგან გამოყოფილია თაღიანი ბოძებით.

ეს მონასტერი მოხსენებული აქვს ვახუშტის: „ვერეს დაბის დასავლით არს, დანახვისის მთის ძირს, მონასტერი კეთილშევინიერი“-ო. ტაძარი ქვიტკირისაა, გარედან ქვითაა მოპირკეთებული. ტაძარი საკმაოდ მაღალია და ვრცელი, მას კარი ჩრდილოეთით აქვს, საკურთხეველი შელესილია გაჯით, ზოგან ემჩნევა მოხატულობა.

სამხრეთის ნავში გვირაბია (სამალავი) დატანებული, რომელიც მთელ კედლის სიგრძეზე გადის. ტაძარი ქვით ყოფილი გადახურული. ოღმისავლეთის კედელში ჩატანებულია მოცისფერო ჩუქურთმიანი ქვა, სარტმლის ზემოთ კი ყავის ფერი უიქალია, რომელზედაც ჩუქურთმიან წნულში გამოსახულია ჯვარი.

ამ ტაძრის წარწერაზე მოხსენებული ერისთავი მირიანი და ციხისთავი გრგნელი (გორგანელი), როგორც ვიცით ატენის კედლის 1060 წლის წარწერიდან, არიან ატენის ქალაქის შენებლები. მათ XI საუკუნეში ვერეს ხეობაშიაც ჩაუტარებიათ სააღმშენებლო მუშაობა.

მხოლოდ ვერეს ეს ტაძარი უფრო ადრინდელია. იგი თავის ნაგებობითა და გეგმით მიეკუთვნება VII საუკუნეს¹. ეტყობა მათ ეს მონასტერი აღუდგენიათ და განუახლებიათ. პროფ. გ. ჩუბინაშვილის თქმით, ვერეში უთუოდ უნდა გავარჩიოთ ძველი ხანის ძეგლი XI საუკუნის შე-60 წლების ძეგლისაგან. ამ უკანასკნელ დროს ეკუთვნის მისი აღდგენა ნანგრევიდან და ჩუქურთმებით მორთვა, რომელიც მოხდა ატენის ციხისთავის გრგნელის განკარგულებით (მისივე, ხელ. ისტორია, გვ. 202).

ამ მონასტრის შენებლობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ვერეს ციხის აგებაც, რომელსაც უნდა დაეცვა ვერესხეობა და მისი მონასტრის უშიშროება. ამის გამო შესაძლებელია ვერეს ციხის აგებაც მიეკუთვნოს ადრინდელ ფეოდალურ ხანას, შეიუხდავად იმრაა, რომ მომდევნო პერიოდში ეს ციხე რომდენჯერმე ყოფილა გადაკეთებული და განახლებული.

მონასტრის დავაკებაზე, ვერეს წყლის ნაპირას გამართულია დანახვისის ნიში. ვისაც არ შეეძლო დანახვისზე ასევე, დანახვისობას იგი აქ დგებოდა და ლოცულობდა.

¹ გ. ჩუბინაშვილი, ქართული შელოვნების ისტორია, თბ., 1936 წ.- გვ. 198—203.

წეროს ხევი ექუთვნის ატენს და იგი ატენიდან დაშორებულია 5—6 კილომეტრით. წეროს ხევში წინად უცხოვრიათ წეროსთავი, რუსილებს, რომელიც ძელიან გადასახლებულან ხიდისთავში, სადაც ახლაც ცხოვრობენ. ეს ხევი საკმაოდ განიერია და ზედ წყაროც ჩამოუდის. სოფ. წერო ვახუშტიანიც აქვს მოხსენებული. ეს სოფელი მტიდროდ ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობენ აქაური ნასახლარი აღილები და ნაგებობათა ნანგრევები. ბევრია მიწაში ჩაფლული მვარებელი და ძველი საფლავებიც. საფლავი ფიქალა ქვებით არის ამოგებული, ზოგან ფიქალები შეკრულია დუღაბით.

აქ დაცულია ვრცელი და მაღალგუმბათისნი ტაძარი, რომელიც თლილი ქვით არის ნაგები. ტაძარი სადაა, მას არ ეტყობა მხატვრობა და არც ჩუქურთები აქვს. მის სამხრეთ კედელზე შემონახულია ნუსხახუცური წარწერა, იკითხება ასე:

1. „წეროსა ღვთისშობელო, აღიდე ორსავე
2. შინა ცხოვრებასა მადიდებელი სახელისა
3. შენისა როსტვეან“.

წეროს ზევით თავდება ატენის მიდამო, შემდეგ იწყება ბობნევი. ეს სოფელი გაშენებულია ტანას ხეობაში და იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო უბანი. აქაც ბევრია ძველი ნამოსახლარი და ნაგებობათა ნანგრევები, რაც იმას მოწმობს, რომ ბობნევი ძველად მტიდროდ ყოფილა დასახლებული. მხოლოდ მე-18 საუკუნეში მტრების შემოსევებისა და ლეკიანობის გამო აოხრებულა და გაპარტახებულა.

ბობნევში არსებულ ისტორიულ ძეგლებში აღსანიშნავია ე. წ. „კოშკების“ ეკლესია, რომელიც აგებულია სოფლის თავზე, ტანას მარცხნა მხარეზე. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ნაგებია ქვით და თავისი არქიტექტურული გაფორმებით ინტერეს არ წარმოადგენს. მის კედლებზე დაცულია ფრესკული მხატვრობა. აქვს ორი წარწერაც: ერთი ლაპიდარული, მეორე—ფრესკული, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ეს ეკლესია აუშენებია და მოუხატვინებია 1683 წელს იმ დროს ცნობილ საზოგადო მოუვაწეს—„დიდმოურავი“-ანის ავტორს, იოსებ ტფილელს¹. აქვეა მოთავესებული იოსებ ტფილელის პორტრეტული გამოსახულებაც.

პოეტი იოსებ ტფილელი, როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძის ჩამომავალი იყო და ეს სოფელი „ბობნევი“ სააკაძეების

¹ ი. ფირალიშვილი — ბობნევის მოხატულობა, თბ., 1952 წ., გვ. 10—13.

სამკვიდრო ყოფილა. ამის გამო გასაგებია იოხებ ტფილვანიშვილის
მზრუნველობა ბობნევის ეკლესიაშე.

ამ ეკლესიის მახლობლიდ ტანას ნაპირას მდგარა მაღალი
კოშკი, ოთხსართულიანი (გოლოლი), რომელსაც ხალხი მიაკუთ-
ნებს გიორგი საავაძეს. ვა ხუშტო მას უწოდებს „კიკანათბერს“:
„ბობნევს ზეით, ჩრდილოთ კერძ, არს ციხე კიკანათ ბერი, კლდით
მოზღვულილი; და წყარო შიგ გამომდინარე, და ფრიად მაგარი“.
(გვ. 57). ეს ციხე დაუწერებით ზეშემანას რეინიგზის გაყვანის
დროს.

ბოშური მდებარეობს ბობნევის ზევით ტანას ხეობაში და
იყოფა ზემო და ქვემო ბოშურად. მდიდარია ნაძვნარით, ზაფხუ-
ლობით გრილა, აქ არის მაღალი მთის ჰავა და იგი მართებულად
ითვლება საავარაკო აღვილად. ევნაზი აქ არ ხარობს, მოსახლეო-
ბა ძირითადად მისდევს მესაქონლეობასა და მემინდვრეობას.

ბოშური არა აქვს მოხსენებული ვახუშტს, ეტყობა ეს
სოფელი იმ დროს არ არსებობდა, ან წარმოადგენდა ნასოფლარს.
ამას აღასტურებს აქ დარჩენილი ძველი ეკლესიების ნაგრევები,
რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ აქ ძველი და მჭიდრო მოსახ-
ლეობა ყოფილა და ლეკიანობისა გამო განადგურებულა.

ეს სოფელი ახლოს იყო ტანას სათავესთას, საიდანაც თრია-
ლეთით* გადმოდიოდნენ ლეკები და მოსახლეობას აწიოკებდნენ.
მე-19 საკუუნის დასაწყისში ეს მხარე ყოფილა უკაცრიელი და
ერისთავს აქ გადმოუსახლებია ქსნისა და არაგვის ხეობიდან მთი-
ულები (თინიკაშვილი, თოფჩიშვილი, გიგაური, ქოქაშვილი და
სხვა).

აქ არსებული საკულტო ნაგებობიდან აღსანიშნავია: მშრა-
ლი ხევის ან საყდრის ხევის „ღვთის მშობელი“. ეს
ტაძარი ზემო ბოშურშია და აგებულია მშრალ ხევში (უწყლო).
აქვეა ბოშურელების სათიბი. აღვილი ლამაზია და ტყიანი.

ტაძარი ქვიტკირით არის ნაგები, საკმაც დიდია და გეგმით
ერთნავიანია. იგი გადასურულია ქვაფიქალით. აღმოსავლეთის მხა-
რებზე აქვს გამოქანდაკებული ყოჩის თავი კისერზე ჯაჭვით. ტაძ-
რის სახურავზე ამოსულია ფიჭვისა და ნაძვის დიდი ხეები.

ეკლესია შიგ მოხატული ყოფილა, მხატვრობის ნაშილი შეჩ-
ჩენილია საკურთხეველის კედელზე. შიგ არის ხის კანკელი, რომე-
ლიც მოჩუქურთმებულია ლამაზი არშია-ორნამენტებით. კანკელის
თავზე ამოჭრილია ასომთავრული წარწერა:

1. ძელო ცხოვრებისათ, ადიდე
 ორთავე ცხოვრებისა შინა
 პატრონი ფანასკერტელი
 ზაქარია.

2. ძელო ცხოვრებისათ, შეიწყალე ფრიად
 ცოდვილი შენი შემოხვეწილი
 ესაკა.

ეს ტაძარი ძველია და მიეკუთხება აღრინდელ ფეოდალურ
 პერიოდს, დაახლოებით VII—IX საუკ. რაც შეეხება მისი კანკე-
 ლის წარწერას, იგი გვიანდელია. წარწერაში პატრონად მოხსე-
 ნებულია ფანასკერტელი ზაქარია. ეს ზაქარია ზაზა ფანასკერტელის
 შეილია, რომელიც ზაზას სხვა ვაჟებთან ერთად მოხსენებულია
 მეფე ქანსტანტინე II მიერ ზაზასადმი ბოძებულ 1467 წლის წყა-
 ლობის სიგელში¹. ცნობილია, რომ ფანასკერტილან (სამხრეთ სა-
 ქართველო) ქართლში პირველად გადმოსახლდა ზაზა ფანასკერ-
 ტელი 1467 წელს მეფე გიორგი VIII დროს.

ქართლში მან გიორგი მეფისაგან სამფლობელოდ მიიღო
 ძაბა ხეობა და აქ მისი რეზიდენცია იყო მზორეთში (ორთულიანი).

ქართლში გადმოსახლების შემდეგ ზაზა და მისი მემკვიდრენი
 ფანასკერტელის ნაცვლად იწოდებოდნენ ციციშვილებად, როგორც
 ზაზას მამის „ციცი“-ს შთამომავალნი.

ამგვარად წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ XV საუკ. ზა-
 ქარია ფანასკერტელს თავისი სულის შესაწყალებლად ბოშურის
 დებულის ტაძარში გაუმართავს ეს ხის კანკელი.

გადმოცემით ამ ტაძარში ქალებს არ უშევებდნენ თურმე-
 ბატის დამიზეზების შიშით ქალებიც არ ამოდიოდნენ აქ სალოცა-
 ვადო. ქალები მოშორებით დგებოდნენ, სადაც იყო ამ ტაძრის ნი-
 ში და იქ ლოცულობდნენო.

წერეთი. თხინალის ზემოთ არის წერეთი, რომელიც იყო-
 ფა ორად: დიდი და პატარა წერეთი.

წერეთი შემოზღუდულია მაღალი და ტიტველი მთებით, სო-
 ფელს ზედ დასცეკერის რაზმითის მაღალი მთა. ზემო უბანში მაღალ
 ბორცვზე დგას ეკლესია „დეთისმშობელი“, რომელიც ნაგებია
 კლდის ქვით. მისი ქერი ჩაქცეულია, კედლებში ჩატანებული აქვს
 ხუთი ჭური (რეზონანსისთვის). ეკლესის ეზოში, სამხრეთ-


¹ ზაზა ფანასკერტელი, სამეურნალო წიგნი (კარაბადინი), თბი-
 ლისი, 1950 წ., გვ. XVI—XVII.



დასავლეთის მხარეზე ექლესის მახლობლად ჯეფირის საფულეოს მახლობლად რომელსაც თავთან და ფეხებთან ჩასმული აქვს თავშვეტიანი ფიქალქვა, რუხი ფერისა. საფლავის სიგრძე უდრის 3,70 მ.

სოფ. წერეთი ვახუშტის არა აქვს მოხსენებული, ეტყობა მის დროს ეს ნასოფლარი ყოფილა. ძველი ნასოფლარი ადგილები ახლაც არის. ძველი სოფელი აყრილია ლეკიანობის გამო. როგორც ნათქვამი იყო, ვახუშტის მოხსენებული აქვს აქაური რაზმითის მთა და ჯეფირის საფლავი.

ამჟამად წერეთში ცხოვრობენ როკიდან გადმოსახლებული ოსები. წერეთში დაცულია ორი კოშკი. ქვემო უბანში დგას მრგვალი კოშკი, სამსართულიანი, რომლის სიმაღლე აღწევს 12 მ. კოშკს მაღლა აქვს ერთი კარი და რამდენიმე სათოფური. იგი მდებარეობს ორ ხევშუა, უნდა იყოს საყარაულო კოშკი.



სურ. 4. საფლავის ქვა.

ქვემო წერეთში არის მეორე კოშკიც, კუთხედი ფორმის მისი ჭინა მხარე ჩამონგრეულია. კოშკი ყოფილა სამ სართულიანი, ნაგებია კლდისქვით დუღაბით. აქვს სათოფურები. ორივე კოშკის მახლობლად ნასოფლარია.

მატერიალური კულტურის ძეგლებს მიეკუთვნება აგრეთვე აქ არსებული საფლავის ქვები, რომლებსაც აქაური ოსტატები დღისაც ამზადებენ.

ამ საფლავის ქვებზე გამოსახულებანი საინტერესო მასალას იძლევიან ხალხური შემოქმედების შესასწავლად. აგრეთვე შრომა-საქმიანობის გასაცნობად. მაგალითად, მეცხვარე გამოსახულია ხელში კომბლით და მაკრატელით. გუთნის დედა—გუთნეულით, მევენახე—სასხლავი დანით და სხვა. აცვიათ იმდროისათვის დამ-



სურ. 5. საფლავის ჭვა.

ხასიათებული ტანსაცმელიც, რაც იძლევა ნათელ სურათს ხალხური კულტურული გასაცნობად.

ამას გარდა საფლავის ქვებზე ლამაზი ქართული დამწერლობით ამოკვეთილია მიცვალებულის კინაობა, მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი. ზოგზე კი ამოკვეთილია გალექსილი ეპიტაფია:

გუთნისდედა ვარ განთქმული, ვწნავდი მთასა და ბარსაო;
ბელტი ბელტს გადაღიოდა, არა ვზოგავდი ჯანსაო;
მაგრამა ბედმა მიმუხთლა, ხელი მომავლო მხარსაო;
გამტყორუნა შავი მიწისკენ, ამომაფარა ქვასაო;
სიკვდილი მუხანათია, მიმტყუნა ბედის ჩარხმაო;
ცოლ-შვილი ობლად დავტოვე, არ დამიჩაგროთ ხალხმაო..

3. შრომა-საჭმიანობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ატენის ხეობა ეკუთვნოდა მსხვილ მემამულებს—ერისთავებსა და ორბელიანებს. ტანას მარჯვენა მხარეს ფლობდა ერისთავი, მარცხენას კი ორბელიანი.

გლეხობა ესახლა მებატონეთა მამულზე და სალალოდ ამუშავებდა მათ ბალ-ენახებს და ყანებს. გლეხობის მცირე ნაწილს ჰქონდა პატარა ნაკვეთები, რომელსაც ამუშავებდნენ ძველი მამა-პაპური წესებით.

აქაური მოსახლეობა უმთავრესად მისდევდა მიწათმოქმედებასა და მეცნიერებას. ჩვენ აქ მოვიყვანთ ძველი შრომა-საქმიანობის დამახასიათებელ ზოგიერთ წესებს და ცრუმორწმუნეობის გადმონაშთებს, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ რევოლუციამდელ გლეხობის საგალალო მდგომარეობაზე.

მიწათმოქმედებას ატენის ხეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მიწას ხნავდნენ ხის გუთნით, რომელშიაც შებმული იყო რვა ულელი ხარი: პირველი ულელი იყო გუთნისდედის ხარები, მეორე საჯდომი, მესამე წასაკრავი, მეოთხე საჯდომი, მეხუთე წასაკრავი, მეექვესე საჯდომი, მეშვიდე წასაკრავი, მერვე იყო წინხარი, კუელაზე თვალსაჩინო და კვეიინი ხარები. ამასთანავე მაღალრქიანი და კარგი შესახედავიც.

რვა ულელი ხარი იშვიათად ეყოლებოდა ერთ მეცნიერ გლეხს. ჩვეულებრივად შეძლებულ გლეხს ჰყავდა ოთხი ულელი ხარი, დანარჩენებს კი სხვებს შეუბამდნენ. ხარ-გუთანი რომ გაიმართებოდა, შეუდგებოდნენ მიწის მოხვნას. ამისათვის გუთნისდედას ეძლეოდა ორდენ ხახვარი, ღამის მეხრეს ორი დღე, დღის მეხრეს ერთი დღე. ორ ულელზე ერთი მეხრე იყო. დღის მეხრედ



შეიძლებოდა ყველა კოფილიყო. იგი დღისით საქონელს აძმვებდა, უკარისის ლამის მეხრედ ტოვებდნენ უფრო გამოცდილს, ცოლშვილიანს და გულადს, რომელიც საქონელს აძმვებდა ლამე და ყარულობდა.

პირველად ხნავდნენ გუთნისდედის მიწას. გუთნისდედობა ყველას არ შეძლო. იგი ხელოსანი იყო, აკეთებდა გუთანს და აგრძეთვე შეაკეთებდა მის ყველა ნაწილებს. მან იცოდა მოხვნის წესებიც, ხნულის სწორე გატარება; გუთანიც ჩვეულებრივად გუთნისდედისა იყო.

ამის გამო ხალხი დაინტერესებული იყო ხარები შეება კარგ გუთნისდედასთან, რომ მიწაც კარგად მოეხნაო. გუთნისდედაც ცდილობდა გუთანში კარგი პატრონის ხარები შეება.

მიწის მოხვნის საზომი იყო ერთი დღის მუშაობა (დღიური). დღიური არ იზომებოდა. ვაკე მიწა უფრო მეტი მოიხვნებოდა, ფერდობი და გორაკიანი კი შედარებით უფრო მცირე.

თუ გუთნისდედა ყევარ (ოთხი ხარი) ხარს შეაბამდა გუთანში, მაშინ გუთნისდედას ჰქონდა ოთხი დღენახევარი.

გუთანი ფასობდა ერთ კოდ პურად. ვისაც ხარ-კამეჩი არ ჰყავდა და არც გუთანი ჰქონდა, იგი ყიდულობდა ალოს (ერთი დღის მოხვნას), მივიდოდა გუთნისდედასთან და თხოვდა ქირით მიწის მოხვნას. ალო ლირდა 5—6 მანეთამდე. ჭამა-სმა მიწის პატრონისა იყო, კაცებები უნდა მოეტანა სამ-სამი პური თავისი შეჭამანდით.

ვისიც მიწა იხვნებოდა, გუთნეულის საჭმელიც მისი იყო. მეხრის მიწა თუ იხვნებოდა, სადილი მეხრეს მიჰქონდა, გუთნისდედისა თუ იყო, გუთნისდედას უნდა მიეტანა.

ითესებოდა პურის შემდეგი ჯიშები: წითელი პური, დოლის პური (თეთრია), შავფხა (თეთრია), ქერი, დიკა. ყველაზე მეტ მოსავალს იძლეოდა შავფხა. გვალვანი წელიწადს კარგ მოსავალს იძლეოდა წითელი პური, რომელიც გემრიელი პურია.

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა ცრუ-მორწმუნეობანი: გვილვის დროს იკოდნენ გუთნის გატარება წყალში. ამისთვის ქალები შეებმებოდნენ გუთანში და წყალში შეტოპავდნენ, ვითომც ხნავდნენ და თესავდნენ, ერთმანეთს წყლით წუწავდნენ და იძახდნენ: „წვიმა მოვიდაო“.

აგრძეთვე იცოდნენ ლაზარე. ამისათვის აკეთებდნენ თიბის ლაზარეს, რომელსაც ჰქონდა მამაკაცის გამოსახულება. მას ფიცარზე დაწვენდნენ და ზედ სველ ტილოს გადააფარებდნენ. შემდეგ ამ ლაზარეს სოფელში დაატარებდნენ და თან მლეროდნენ:



„ლაზარ მოდგა, ლაზარ მიდგა, ჩემო ლაზარეო. წვიმა მოგემოცხალა
ლაზარეო, ალარ გვინდა გორონხიო, ახლა მოგვეც ტალახიო“ ასაკოშვარი

სახლის ბანიდან ჩუმად გოზეურით წყალს გადაასხამდნენ
ლაზარეს, გაწუწვედნენ და გარბოდნენ. ლაზარეს აძლევდნენ
პურს, ფქვილს, კვერცხებს და სხვ. მოლაზარენი ამისაგან გამო-
აცხობდნენ პურს, აანთებდნენ სანთლებს და შეიკრიბებოდნენ
ერთ ოჯახში. ამ პურს კამდნენ და ავდარზე დაილოცებოდნენ.
ბოლოს ლაზარეს წყალში გადააგდებდნენ.

ფრინველებს ჭირნახული რომ არ გაეფუჭებინა, ასრულებდ-
ნენ „ჩიტ ფაფობა“ -ს. ამისათვის ყველიერში მოადუღებ-
დნენ ფაფას და შუაში ჩასდებდნენ ერბოს. ფაფიან ჯამს შედ-
გამდნენ ფიჩხე, რომ ის ჩიტებს ეჭამა და ყანა არ გაეფუჭებინა:
„აპა, ჩიტო, თქვენი საჭმელი, ყანა არ შეგვიჭამი“ -ო. როცა დაი-
წყებოდა მეა, მაშინ იცოდნენ „სანაცვლო“ (დახმარება). ნადა
ყანის პატრონი კარგ პურს აქმევდა. შემდეგ იგი სხვებს დაეხმა-
რებოდა.

კალოობის დაწყებამდე, ვისაც კალო ჰქონდა, იგი მლეჭელს
დაიწვევდა, რომ კალო ეკურთხებინა, კალოს კურთხევისათვის
მლეჭელს აძლევდნენ ქათამს ან ათ შაურს.

ვისაც თავისი კალო არ ჰქონდა და სხვის კალოზე გალეჭივ-
და, ლეჭვაში მას ბზეს აძლევდა.

გალეჭილ პურს ჰყრიდნენ გოდორში ან ბელელში. ხორბალს
არწყავდნენ ჩანახით. რვა ჩანახი ერთი კოდი იყო (4 ფუთი). პუ-
რის თავთავისაგან გააკეთებდნენ ჯვარს და შიგ ბელელში ჩააგდებ-
დნენ, რათა პურს გარაქა მიეცეს.

პირველად გალეჭილ კალოდან ნახევარ ან ერთ კოდ პურს
საზედაშეს აიღებდნენ. ამას შემდეგ დაფქვავდნენ, პურებს დაა-
ცხობდნენ და თავისით ხატ-სალოცავში წაიღიბდნენ, საღაც დაი-
ლოცებოდნენ კარგ მოსაცვლიანობაზე.

მეცნახეობით ატენი ძველადვე ცნობილი იყო. აქ
ხარობდა სხვადასხვა ჯიშის ვაზი: მწვანე, თავკვერა (შავი), ბუღ-
შური.

ბუღეშურისაგან აყენებდნენ საუკეთესო ატენურ ლვი-
ნოს. ეს ჯიში მოსავალსაც მეტს იძლეოდა. იგი თეთრია, მტევან-
მსხვილი, ლვინი დგებოდა მაგარი.

თავკვერა (შავია, მსხვილმარცვლიანი) მისგან მაგარი
ლვინო დგებოდა. ლვინოს წურავდნენ საწანახელში და ინახვდნენ
ქვევრებში, რომელსაც მიწაში ჩაფლავდნენ. ხეზე გაშვებულ ვაზს
უწოდებდნენ „ბიბილო“ -ს, სარზე გამართულს — ფეხის ვაზს. ხეობა-



ში განვითარებული იყო მონადირეობაც. ნადირობდნენ თოფით და ძალუებით, ხაფანგსა და მახს არ ხმარობდნენ. მისდევდნენ თევზაობასაც. თევზაობდნენ მაშხალით, ბადით, სოლიხით (ტარიანი მრგვალი ბადე), ფაცერით (ლასტი), კოკოჩით, ზელაობით და და სხვა.

ატენის მოსახლეობას ჰქონდა თავისი გასართობი დღეობებიც. წინათ დროს ატარებდნენ სხვადასხვა დღესასწაულებში და ხატობა-დღეობებში.

დღესასწაულებში მნიშვნელოვანი იყო ახალი წელი. მას დიდი სამზადისით ეგებებოდნენ. აცხობდნენ ბასილას, რომელსაც მამკაცის გამოსახულება ჰქონდა. აცხობდნენ აგრეთვე ბედისკვერებსაც ოჯახის წევრებზე, ხარის ქდის, სახრეს, ნამგალს, ძროხის ჯიქანს, კრუხის წიწილას, გუთანს, კავს, ყურძნის მტევანს და ბედის პურს.

ბედის პური იყო დიდი და მრგვალი, მასში დებდნენ სხვადასხვა ტკბილეულს (ჩამიჩის, თაფლს, გოზინაყს და სხვა). გამოცხობისას ვისი ბედისკვერი არ იიშევდა, იგი იმ წელიწადს უბედური იქნებოდა.

ახალწლის დილას ამ ნამცხვრებს ხონჩაზე დაალაგებდნენ, შუაზე დასდებდნენ ღორისთავსა და ბასილას, ხონჩას გარშემო მიაკრავდნენ ანთებულ სანთლებს და ოჯახის მეკვლე (უფროსი) დაილოცებოდა, ხონჩას ატრიალებდა და ბასილას შესთხოვდა ახალიწელი ყოფილიყო ბარაქიანი. შემდეგ მეკვლე ადგებოდა და ოჯახის წევრებს სათითაოდ მიულოცავდა ახალწელს და „დააბერებდა“ (შეაჭმევდა) თაფლიანი პურით. ამის შემდეგ მეკვლე შევი დორდა ბოსელში, მას ხელში ეჭირა კვერცხი და ერთი მუჭა ხორბალი, თან თესავდა ხორბალს და შესთხოვდა მეუფეს საქონლის მომრავლებას (რამდენი მარცვალი ხორბალიც იყო). ლოცვის დასარულს მეკვლე კვერცხს საქონლის ზურგზე გადააგორებდა და იტყოდა — მაგაურა არ გაუჩნდესო, ისეთი სიმართლით იყავით, როგორც ეს კვერცხი ახალიაო.

შემდეგ მეკვლე ცეცხლს დაანთებდა. მუგუზალს შეუჩინჩხლებდა და როდესაც ნაპერწელები აცვივდებოდა, იგი იტყოდა: „ამდენი საქონელი და ამდენი ადამიანი გაამრავლეო“.

ახალწლის დილას ოჯახი მეკვლედ დაიწვევდა ისეთ ადამიანს, ვისაც ბედნიერიად თვლიდენ (შეძლებულს, ჯანმრთელს, მრავალზეილიანს). მეკვლეს თან მოპქონდა რაიმე ტკბილეული და ოჯახში შესვლისას იტყოდა: „ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისაო“ და დაილოცებოდა. მეკვლეს სკამს დაუდგამდნენ, გაუშლიდნენ



სუფრას. და გაუმიასპინძლდებოდნენ. წასვლისას ტკბილეულს შეუძლებელი რანდნენ. შემდეგ იგი სხვა ოჯახში გადადიოდა სამეცვლეოდ.

ახალწლის პურებს ინახავდნენ ნათლისლებამდე. ამ დღეს ამოქრიდნენ ჯვარს ბასილიდან და ბედის კვერიდან და ბელელში ჩაგდებდნენ. პურს ბარაქა მიეცემაო. მას ტოვებდნენ ბელელში მეორე წლამდე, მაშინ ამოილებდნენ და საქონელს შეაჭმევდნენ, ხარისა და გუთნის კვერებს კი მუშა საქონელს.

ნათლილებას (6 იანვარს) ხალხსა და საქონელს ჩარეკავდნენ მდინარეში (ტანაზე). მღვდელი აქ დაილოცებოდა, შემდეგ ნაკურთხ წყალს . კურქლით ილებდნენ, ზოგი კი ბანაობდა და საქონელსაც აბანავებდა.

უერნობა ატენში იმართებოდა ჰყელიერში. შეიკრიბებოდნენ სოფლის ბიჭები, ვისაც ემარჯვებოდა ცეკვა·თამაში, სიმღერა, ოხუნჯობა და ვართობა. მონაშილეობას იღებდა ათ კაცამდე და ბინას დაიღებდნენ ერთ რომელიმე ოჯახში. ათივე გამოდიოდა საკრავებით: დოლით, გარმონით, ცეკვა·თამაშით და თან ოხუნჯობით სოფელს ჩამოუვლიდნენ. მიადგებოდნენ ერთ ოჯახს, დაუკრავდნენ და ცეკვავდნენ. მათში ერთი იყო მამასახლისი, რომელსაც ხელში ეჭირა დაეთარი, სადაც ეწერა თვითონეული მექომურზე ყენის მიერ გაწერილი გადასახადი (ჯარიმა). იგი ოჯახის პატრონს წაუკითხავდა ჯარიმის რაოდენობას და ყენის გრძანებით მოითხოვდა მის ჩაბარებას. სანამ ჯარიმას არ მისცემდნენ, არ წავიდორცნენ. ოჯახის პატრონი ჯარიმაში აძლევდა კვერცხებს, ლვინოს, პურს, ყველს და სხვ. მთელ სოფელს რომ დაუვლიდნენ, შემდეგ ბინაზე ბრუნდებოდნენ და აქ მამასახლისი ყველაფერს სიით ჩააბარებდა. თუ რაიმეს გადამალავდა ან მოიპარავდა, ასეთ მამასახლისს დასჯიდნენ, ბოსელში დაამწყვდევდნენ.

შემდეგ ორ კაცს აირჩევდნენ ყენად, დასვამდნენ მას მარხილზე და სიმღერა-მუსიკით მთელ სოფელს შემოაწარებდნენ. ბოლოს ჩაიყვანდნენ მდინარე წყალში, ხალხიც თან მისდევდა. ყენის მარხილით შეი შეა წყალში შეაცურებდნენ. წყალში ორ ყენის შორის გაიმართებოდა ბრძოლა, თუ რომელი მათგანი დასძლევდა.

ერთი ყენი იყო კარგი მოსავლიანი წლის წარმომადგენელი, მეორე კი—ცუდი მოსავლისა. დაეჭიდებოდნენ ერთმანეთს და რომელიც დასძლევდა— მოსავალიც ისეთი იქნებოდა.

გაწუწული ყენები ცდილობდნენ მდინარეში ჩაეთრიათ მაყურებლებიც და ახლა ისინი გაეწუწათ. გაწუწულები სხვებს წუწვედნენ და ასე თითქმის ყველანი იწუწებოდნენ. ბოლოს ყენები ბინაზე ბრუნდებოდნენ და დროს ატარებდნენ.


ბერიკად ორ კაცს ირჩევდნენ, ერთი კაცურად იცვამდა, მეორე კი ქალურად. ორივე მამა ეცვა ძველი და სასაცილო ტანისამოსი. სახეზე იკეთებდნენ ბერიკას (ნიღაბს), რომ არავის ეცნო. ორივეზი ცეკვითა და სიმღერით, თან ოხუნჯობით ოჯახებს ჩამოუკლიდნენ.

ჭონა იცოდნენ ალფონსის წინ. შეიყრებოდა ხუთი ან ექვსი ახალგაზრდა, რომლებსაც ეხერხებოდა სიმღერა—ლექსაობა, აიღებდნენ ქალათს და სოფელს დაივლიდნენ. ავიდოდნენ სახლის განხე, ერდონდან ქალათს ჩამოუშვებდნენ და დაიმღერებდნენ: „ალათასა, ბალათასა, ჩამოგვიდებ კალათასა, დედი, ერთი კვერცხი მომე, ლმერთი მოგცემს ბარაქასა. ჭონა, ჭონა... ახალი სახლი დაგიდგინს გარშემო მოგიირტყამს ფიტვიო, ლმერთმა კველა გაგიზარდოს, გოგო იყოს თუ ბიქიო“. თუ კვერცხის მოცემას დაუგვიანებდნენ, დაიმღერებდნენ: „ტყიდან მგელი ჩამოვარდა. თხა შეგვიპამა ნისლაო, დედი, ერთი კვერცხი მოვევე, სხვაგანაც გვინდა მისულა“, ლექსის დასასრულს უმატებდნენ ჭონა..., ჭონა...

გართობა-თამაშობანი.

წინათ სცოდნიათ ფერხული. ქალები და კაცები ცალ-ცალკე ჩაებმებოდნენ ფერხულში, ხელებს მხრებზე გადააბამდნენ. კაცები ერთ მხარეზე დგებოდნენ, ქალები მეორეზე, აირჩევდნენ მოლექსე-მომღერალ ერთ ქალს და ერთ კაცს. კაცი ჩაებმებოდა ქალების ფერხულში, ქალი კი კაცებისაში და დაიწყებდნენ გაშიირებას, საქმე ჯობნაზე იყო. დანარჩენები მას ბანს აძლევდნენ და ფერხული მწყობრად წარიმართობოდა.

მოშაირენი ზოგჯერ კეიმატ ლექსებსაც აშბობდნენ და ხალხს აცინებდნენ. ფერხული სიცილ-კისკისით იშლებოდა.

დარალი. ჩააბამდნენ წრეს მხრებზე ხელი-ხელ გადაკიდებული და მოეროდნენ დარალოს ლექსით, თან ტიშს უკრავდნენ. გამოვიდოდა ვაჟი და ქალს თავს დაუკრავდა, ქალი მას გაეთამაშებოდა. შემდეგ სხვები გამოლიოდნენ. ლექსობისას უმატებდნენ დარალო-დარალოს.

თამაშობებში იცოდნენ: ბურთაობა ლელოს გატანით, აგრეთვე ჭიდაობა, ჩილიკა-ჯოხი, დანაობა, კენჭაობა, კოჭაობა, რიკაობა, კაჭლაობა, გადასვლიანობა (ზურგზე გადახტომა) და სხვა.

მხოლოდ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გლეხობა გაანთავისუფლა სუცებისა და მემამულეთა ბატონობისაგან, აღმოფხვრა მავნე ადათ-ჩვეულებანი. მიწა, რომლისათვის გლეხობა იბრძოდა, მის სრულ განკარგულებაში გადავიდა და კოლ-



მეურნეობის სიმდიდრეს წარმოადგენს. ძეელი ატენის შეჯგუფულიათა მოსახლეობას გაფართოების საშულება მიეცა. შეიცვალო დასახლების ტიპიც.

დღეს ატენის მოსახლეობა ჩამწკრივებულია მთავარი გზის ორივე მხარეს, უდგას კარ-ფანჯრებითა და აივნებით გამართული ორსართულიანი სახლები. ეზო შემოკავებული აქვთ და ბალ-ვენა-ხათ გამწვანებული. ბინები ლამაზად და კულტურულად აქვთ მოწყობილი, კოლმეურნები შეძლებულად ცხოვრობენ.

აქაური მშრომელი გლეხობა გაერთიანებულია ორ დიდ კოლმეურნებაში—ატენის და ბობენევის. ატენის კოლმეურნება ძირითადად მევენახეობას მისდევს. განთქმულია ატენური თეთრი. ვენახის ფართობი ყოველწლიურად მატულობს. აქვეა ატენის ქარხანა, რომელიც ამზადებს შამპანურ ღვინოს.

მემინდვრეობაში უფრო მისდევენ ხორბლისა და სიმინდის თესვას, სოფლის მეურნეობა მექანიზებულია. აქაური ნიადაგი ურწყივია, მაგრამ კოლმეურნები მას ანოიერებენ. მინერალური სასუქით.

ბობნევის კოლმეურნება მემინდვრეობასა და მესაქონლეობას მისდევს. მოყავთ ქერი, პური, სიმინდი. აქ ფართოდ არის დაყენებული მესაქონლეობა, რასაც ხელს უწყობს კარგი საძოვრები. ბობნევის კოლმეურნებას აქვს რამდენიმე ფერმა, ისინი კარგ შემოსავალს იძლევიან. ფერმაში ამზადებენ მაღალ ხარისხის ყველსადა ერბო-კარაქს. ფერმები მექანიზირებულია.

ატენის ხეობა მდიდარია ტყით. ძევლი ტყის გამოხშირვა და ახლის მოშენება სწარმოებს გეგმის მიხედვით. მარტო უკანას-ქნელი ათი წლის მანძიშე აქ გაშენდა 320 ჰექტარი ახალი ტყე.

წინად რევოლუციამდელ დროში აქაური მოსახლეობა მოკლებული იყო სწავლა-განათლებას. თუ წინათ აქ სკოლა არ იყო, დღეს თერამეტი სკოლაა. წერა-კითხვის უცოდინარობა კი კარგახანია ისტორიას ჩაბარდა. სკოლებს გარდა აქ არის რეა სამკითხველო და კლუბი. მშენებლები აქვანისკნელს აქვს კინოდანადგარი, რომელიც კოლმეურნებს ხშირად უჩვენებს ახალ კინოფილმებს. კლუბში ადგილობრივი დრამწრის მიერ იდგმება წარმოდგენები, მუშაობს ცეკვისა და სიმღერის საკოლმეურნეო თვითმოქმედი ანსამბლი. სასოფლო ბიბლიოთეკასთან ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრეები: მხარეობმოდნეობის, აგრონომიული, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ატენის ხეობის მშრომელდები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სასიხარულო მდგრადი ანსამბლი. სასოფლო ბიბლიოთეკასთან ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრეები: მხარეობმოდნეობის, აგრონომიული, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა.



ს ა რ ჩ 0 3 0

33-

1. ატენის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა	3-
2. მატერიალური კულტურის ძეგლები	11
3. შრომა-საქმიანობა	31

რეგისტრორი ს. კაკაბაძე
შჩატვარი დ. დურიშვა
ტექნიკაქტრორი ა. კოჯაია
კორექტორი ე. პაპუაშვილი

ამდევეც წარმოებას 26/XII 57 წ. ბელმოწერილია
დასაბეჭდად 26/II 57 წ. ანაწყობის ზომა 6×10 .
ქაღალდის ზომა 60×92 . ნაბეჭდი თაბაზი 2,5.
შე 01423. რირაჟი 10,000. უკვეთის № 1903.
ფასი 60 კაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჩამომცემულობის სტამბა-ლიანგრაფია, უნივერსიტეტის, 1.



Проф. С. И. Макалатия

Атенское ущелье

(на грузинском языке)

Госиздат Груз. ССР

Тбилиси

1957